ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ოქტომბერი
№ 10 1977 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა





# საბჭოთა კავშირის ჰიმნი

(ტექსტი ს. მიხალკოვის და გ. ელ-რეგისტანისა;
ტექსტის ახალი რედაქცია ს. მიხალკოვისა)

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს,
გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს
დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

შუქს გრიგალში გვფენდა მზე თავისუფლების
და ლენინი დიდი გვინათებდა გზას,
მან დარაზმა ხალხი მართალ საქმისათვის,
გმირობა და შრომა შთააგონა ხალხს.

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

კომუნიზმის საქმის ზეიმში ჩვენ ვხედავთ
ქვეყნის მომავალს და მას ვუსწორებთ თვალს,
და სამშობლოს წმინდა, ალისფერი დროშის
უსაზღვროდ და მარად ჩვენ ერთგულნი ვართ!

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

---

ქართული თარგმანის ტექსტის ახალი რედაქცია
ირაკლი აბაშიძისა.



# ქართველ მეჩაიეთა ახალი გამარჯვება

## არის 405 ათასი ტონა ქართული ჩაი!

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**
**ამხანაგ პ. გ. გილაშვილს**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**
**ამხანაგ ზ. ა. პატარიძეს**

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად ვულოცავ საქართველოს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, ჩაის ფაბრიკების კოლექტივებს, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც დაამზადეს 405 ათასი ტონა ეს მეტად ძვირფასი პროდუქცია, გადალახეს მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებული მიჯნა. ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ღირსეული წვლილია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებაში.

მოპოვებული წარმატება სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის თავდადებული შრომის, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები კვლავაც მეტი სიმტკიცით იბრძოლებენ ჩაის, ყურძნის, ციტრუსებისა და სხვა სამხრეთული კულტურების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეტ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებით დაგემთავრებინოთ სასოფლო-სამეურნეო წელი, შეგესრულებინოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი, მიგეღწიოთ ახალი მიჯნებისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში.

ლ. ბრეჟნევი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (490) ოქტომბერი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



ეროვნული ბიბლიოთეკა

© „დროშა", 1977.










მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი შექმნის მომენტიდან ამზადებდა პროლეტარიატს დიდი ისტორიული მისიის შესასრულებლად — მოესპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. 1905-1907 წლების რევოლუციის ქარიშხალსა და სისხლიან გაკვეთილებში, რეაქციის საშინელ წლებში, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ცეცხლში მხოლოდ იატაკქვეშეთში განდევნილმა კომუნისტურმა პარტიამ შეინარჩუნა მუშათა კლასის საქმისადმი ერთგულება.

კომუნისტური პარტია განუხრელად ამზადებდა ხალხს თვითმპყრობელობასთან გადამწყვეტი შეტაკებისათვის.

როგორც სკკპ ცკ-ის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ არის ნათქვამი, „სამოცი წლის წინათ რუსეთის გმირი პროლეტარიატი ბოლშევიკთა პარტიისა და მისი მეთაურის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით აღდგა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად და გადამწყვეტი იერიშით დაამხო იგი. ისტორიაში პირველად მოხდა, რომ სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა მშრომელთა ბრძოლა ექსპლუატაციის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ“.

1917 წლის პირველი იანვარი კვირა დღე იყო. ამით დამთავრდა იმპერიალისტური ომის 127-ე კვირა. მილიონობით ჯარისკაცისათვის ეს იყო სიკვდილის პირისპირ გატარებული კიდევ ერთი დღე; ზურგის მშრომელებისათვის კი ეკონომიკის რღვევის, ფასებისა და უმუშევრობის ზრდის კიდევ ერთი დღე. ყოველივე ეს ზრდიდა უნდობლობას გაბატონებული კლასების მიმართ, მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. პეტროგრადისა და მოსკოვის ბოლშევიკურმა კომიტეტებმა გადაწყვიტეს სისხლიანი კვირის მეთორმეტე წლისთავზე მოეწყოთ დემონსტრაციები, გაფიცვები, მიტინგები.

პიტერის მუშათა 9 იანვრის გაფიცვაში მონაწილეობდა 145 ათასამდე მუშა. ამ დღეს მუშათა დემონსტრაციები მოეწყო რუსეთის მრავალ სხვა ქალაქშიც. გაიზარდა უღარიბესი გლეხობის აქტივობაც. სერიოზული პოლიტიკური ფაქტორი გახდა რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო იზრდებოდა, რასაც თებერვლის ბოლოს ცარიზმის დამხობა მოჰყვა. 27 თებერვლის დღის 2 საათზე შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც მოწოდებით მიმართა მუშებს აერჩიათ წარმომადგენლები საბჭოში. სამწუხაროდ, მთელ რიგ ცნობილ გარემოებათა გამო, საბჭოების სათავეში აღმოჩნდნენ არა ბოლშევიკები, არამედ მენშევიკები და ესერები.

ცნობილია, რომ ესერულ-მენშევიკურმა საბჭოებმა ნებაყოფლობით დაუთმეს ხელისუფლება დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას. ასე შეიქმნა მეტად თავისებური და ისტორიაში არნახული მდგომარეობა — ორხელისუფლებიანობა, როდესაც ერთის მხრივ მოქმედებდა დროებითი მთავრობა, რომელიც წარმოადგენდა ბურჟუაზიის დიქტატურას, მეორე მხრივ — საბჭოები, რომლებიც ახორციელებდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას.

შექმნილ სიტუაციაში პარტიას ახალი ორიენტირება მისცა, ახალი სტრატეგიული გეგმით, ტაქტიკური მოქმედების ახალი ხერხებითა და ლოზუნგებით შეაიარაღა ვ. ი. ლენინმა თავის „აპრილის თეზისებში“. ლენინური თეზისების გარშემო პარტიის დარაზმვის დამამთავრებელი ეტაპი იყო ბოლშევიკური პარტიის სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენცია.

აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ბოლშევიკურმა პარტიამ უდიდესი მუშაობა გაშალა მასებში. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და ესერულ-მენშევიკური საბჭოების ანტიხალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო პეტროგრადის მშრომელებმა და ჯარისკაცებმა 4 ივლისს გრანდიოზული დემონსტრაცია მოაწყვეს, რომელიც ბოლშევიკური ლოზუნგებით ჩატარდა. დროებითმა მთავრობამ ესერულ-მენშევიკური საბჭოების მხარდაჭერით დახვრიტა დემონსტრაცია. ამრიგად, ორხელისუფლებიანობა დამთავრდა კონტრრევოლუციის გამარჯვებით. დაიწყო რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ. პარტიამ ვ. ი. ლენინი იატაკქვეშეთში გადაიყვანა რაზლივის ტბის მახლობლად.

ვ. ი. ლენინის დასკვნები, ტაქტიკური დებულებები და შექმნილი ვითარების ანალიზი დაედო საფუძვლად რსდმპ (ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებებს (26 ივლისი — 3 აგვისტო).

ივლისის ამბების შემდეგ დროებითმა მთავრობამ გაავრცელა ცილისწამება გერმანიასთან ბოლშევიკების კავშირის შესახებ და გასცა ვ. ი. ლენინის დაპატიმრების განკარგულება. ამიტომ ყრილობამ განიხილა რევოლუციის ბელადის სასამართლოში გამოცხადების საკითხი. იმის გამო, რომ არ არსებობდა მისი უშიშროების გარანტია, ყრილობამ პროტესტი განაცხადა რევოლუციის ბელადის ცილისმწამებლური დევნის გამო, ლენინს კი გაუგზავნა მისალმება და აირჩია იგი თავის საპატიო თავმჯდომარედ.

ყრილობაზე მოხსენება ცკ-ის პოლიტიკური ანგარიშისა და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გააკეთა ი. ბ. სტალინმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ 3 ივლისამდე იყო საბჭოების ხელში ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადასვლის შესაძლებლობა, ამჟამად ასეთი შესაძლებლობა აღარ არსებობს. ყრილობამ ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ მოხსნა.

ყრილობამ პირველი რიგის ამოცანად დასახა ბრძოლა შეიარაღებული აჯანყების გზით კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის ლიკვიდაციისა და უღარიბეს გლეხობასთან კავშირში პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობისათვის.

თავის მხრივ კონტრრევოლუცია ამზადებდა სამხედრო დიქტატურის შემოღებას. სამხედრო დიქტატორის როლი დაეკისრა პირწავარდნილ მონარქისტს, გენერალ კორნილოვს. კორნილოვის წინააღმდეგ მუშების, ჯარისკაცებისა და მეზღვაურების ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ ბოლშევიკები. კორნილოვის ავანტიურა ჩაიფუშა. ამან ძირეულად შეცვალა ვითარება ქვეყანაში. მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ბოლშევიკური იდეების სიმართლეში. საბჭოების უპარტიო დეპუტატები ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდნენ.

31 აგვისტოს პეტროგრადის საბჭომ, 5 სექტემბერს კი მოსკოვის საბჭომ მიიღეს ბოლშევიკური რეზოლუცია საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის შესახებ. მალე ასეთი რეზოლუციები მიიღო სამრეწველო ცენტრების 250-ზე მეტმა საბჭომ. დაიწყო საბჭოების ბოლშევიზაციის პროცესი. ამასთან დაკავშირებით პარტიამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, მხოლოდ ეს ლოზუნგი ახლა ნიშნავდა მოწოდებას შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ქვეყანაში სწრაფად იზრდებოდა საერთო-ეროვნული კრიზისი, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენდა მუშათა გამოსვლებისა და გლეხთა მოძრაობის გაფართოება და ზრდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მკვეთრი გამწვავება, არმიის გარევოლუციურება, ესერ-მენშევიკთა წვრილბურჟუაზიული პარტიების დაშლა.

ასეთ პირობებში ბოლშევიკები შეუდგნენ აჯანყებისათვის მზადებას. სექტემბრის შუა რიცხვებში ვ. ი. ლენინმა დაწერა წერილები: „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება“ და „მარქსიზმი და აჯანყება“, რომლებშიც მოგვცა შექმნილი ვითარების ანალიზი და პარტიას მოუწოდა მოეწყო აჯანყება. პარტიის ცკ-ის გადაწყვეტილებით ვ. ი. ლენინი 7 ოქტომბერს არალეგალურად ჩავიდა პეტროგრადში. 8 ოქტომბერს ლენინმა დაწერა სტატია „გარეშეს რჩევანი“, სადაც დასახა შეიარაღებული აჯანყების გეგმა.

# ოქტომბრის განთიადი

10 ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა მონაწილეობა მიიღო ცკ-ის ისტორიულ სხდომაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ. ამ საკითხზე მიღებული რეზოლუცია გახდა შეიარაღებული აჯანყების დაუყოვნებლივ მომზადების დირექტივა.

ამ ისტორიული გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ კამენევი და ზინოვიევი. ტროცკიმ ვერ გაბედა რეზოლუციის წინააღმდეგ ხმის მიცემა, მაგრამ მოითხოვა, რომ აჯანყება არ დაეწყოთ საბჭოების II ყრილობის გახსნამდე. თავისთავად ეს ნიშნავდა აჯანყების დღის გამჟღავნებას.

16 ოქტომბერს შედგა ცკ-ის გაფართოებული სხდომა, სადაც ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთში კლასობრივი ბრძოლისა და ევროპაში მდგომარეობის პოლიტიკური ანალიზიდან გამომდინარეობს შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობა. რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს კამენევმა და ზინოვიევმა. ამიტომ ლენინს სამჯერ დასჭირდა კამათში გამოსვლა. ცკ-ის რეზოლუცია მოწონებული იქნა 19 ხმით 2-ის წინააღმდეგ (4-მა თავი შეიკავა).

ამავე დროს ცკ-მა მოუწოდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა მუშას და ჯარისკაცს ყოველმხრივ და გაძლიერებით მომზადებულიყვნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

შემდეგ ცკ-ის დახურულ სხდომაზე შეიქმნა აჯანყების ხელმძღვანელი სამხედრო-რევოლუციური პარტიული ცენტრი ი. ბ. სტალინის მეთაურობით და ა. ს. ბუბნოვის, ფ. ე. ძერჟინსკის, ი. მ. სვერდლოვისა და მ. ს. ურიცკის შემადგენლობით. ცკ-ის გადაწყვეტილებით სამხედრო-რევოლუციური ცენტრი გახდა აჯანყების ხელმძღვანელი ორგანო.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების ამ საპასუხისმგებლო და გადამწყვეტ დღეებში ზინოვიევმა და კამენევმა მორიგი გამცემლობა ჩაიდინეს: მათ 18 ოქტომბერს ნახევრადმენშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ გამოაქვეყნეს შენიშვნა, რომელშიც კამენევმა თავისი და ზინოვიევის სახელით გასცა პარტიის ცკ-ის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოსვლის შესახებ.

გამცემლების მიერ გაფრთხილებულმა დროებითმა მთავრობამ ფრონტიდან თავისი ერთგული ჯარის ნაწილები გამოიწვია, გააძლიერა პატრულირება ქალაქში. 24 ოქტომბრის დილით იუნკრები თავს დაესხნენ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „რაბოჩი პუტის“ სტამბას, მაგრამ წითელგვარდიელებმა და რევოლუციურმა ჯარისკაცებმა მოიგერიეს მათი თავდასხმა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ აჯანყება დაეწყოთ საბჭოების II ყრილობის მოწვევამდე, რათა დაეხწროთ გამცემთა მიერ გაფრთხილებული მტრისათვის. პარტიის ცკ-ის წევრებისადმი წერილში 24 ოქტომბერს ვ. ი. ლენინი წერდა: „...არავითარ შემთხვევაში არ დაუტოვონ ხელისუფლება კერენსკისა და კომპანიას 25 ოქტომბრამდე, არავითარ შემთხვევაში; უეჭველად დღეს საღამოს ან ღამით უნდა გადაწყდეს საქმე.

ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომლებსაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და უეჭველად გაიმარჯვებენ დღეს), ხვალ კი შეიძლება ბევრი დაჰკარგონ, შეიძლება ყველაფერი დაჰკარგონ“.

აჯანყების ცენტრი გახდა სმოლნი, სადაც 24 ოქტომბრის საღამოს მივიდა ვ. ი. ლენინი. მან ხელში აიღო აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობა.



კრეისერი „ავრორა“.

აჯანყება დაიწყო 24 ოქტომბერს. წითელგვარდიელებმა, რევოლუციურმა ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა ერთიმეორის მიყოლებით დაიკავეს ყველა ხიდი ნევაზე (გარდა ნიკოლაევსკისა და ზამთრის სასახლის ხიდებისა), მთავარი ტელეგრაფი, პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტო, მთავარი ფოსტამტი, ნიკოლაევის, ბალტიის და ვარშავის ვაგზლები, ელექტროსადგური, ცენტრალური სატელეფონო სადგური, სახელმწიფო ბანკი და ცენტრალური გაზეთების რედაქციები.

25 ოქტომბრის დილისათვის აჯანყებულთა ხელში იყო თითქმის მთელი პეტროგრადი, გარდა ზამთრის სასახლისა და სამხედრო ოლქის შტაბისა. ამ ვითარებაში ვ. ი. ლენინმა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სახელით დილის 10 საათზე დაწერა მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებისადმი“, რომელშიც ნათქვამია:

„დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ხელისუფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს.

ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დემოკრატიული ზავის წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენება, მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოების მიმართ, საბჭოთა მთავრობის შექმნა — ეს საქმე უზრუნველყოფილია.

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციას!“

14 საათსა და 35 წუთზე სმოლნის სააქტო დარბაზში გაიხსნა პეტროგრადის საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელსაც სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მოახსენა რევოლუციის გამარჯვების შესახებ. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც განაცხადა: „მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა...

ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება“.

25 ოქტომბრის 18 საათისათვის ზამთრის სასახლე, რომლის გარნიზონიც შედგებოდა იუნკრებისა და ქალთა დამკვრელი ბატალიონისაგან, ალყაშემორტყმული იყო. 21 საათსა და 40 წუთზე პეტრე-პავლოვსკის ციხისა და ბალტიის ფლოტის ბოლშევიკურ კრეისერ „ავრორას“ ქვემეხებმა ქვეყანას ამცნეს ზამთრის სასახლის იერიშის დაწყება.

ერთი საათის შემდეგ, 22 საათსა და 40 წუთზე სმოლნში გაიხსნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობა. ყრილობის მუშაობის დროს იერიშით იქნა აღებული ზამთრის სასახლე. რევოლუციური ჯარისკაცები, მეზღვაურები და წითელგვარდიელები სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელ ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოსა და საბჭოების II ყრილობის დელეგატის, პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარისკაც გ. ი. ჩუდნოვსკის მეთაურობით შეიჭრნენ ზამთრის სასახლეში და დააპატიმრეს დროებითი მთავრობა. კერენსკიმ მოასწრო გაქცევა.

საბჭოების II ყრილობამ რუსეთი გამოაცხადა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკად.

26 ოქტომბრის 21 საათზე გაიხსნა ყრილობის მეორე სხდომა. ორ ძირითად საკითხზე — ზავისა და მიწის შესახებ — მოხსენებით გამოვიდა ლენინი.

დაახლოებით 23 საათზე ერთხმად მიღებული იქნა დეკრეტი ზავის შესახებ, რომელიც წინადადებას აძლევდა ყველა მეომარ ხალხს და მათ მთავრობებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება დემოკრატიული, ე. ი. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დასადებად.

27 ოქტომბრის ღამის 2 საათზე მიღებული იქნა დეკრეტი მიწის შესახებ. დეკრეტმა გააუქმა მიწაზე კერძო საკუთრება და გამოაცხადა იგი საერთო-სახალხო საკუთრებად.

ყრილობამ შექმნა პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თავმჯდომარეობით.

27 ოქტომბრის დილის 6 საათზე საბჭოების II სრულიად — რუსეთის ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. მან შეასრულა ისტორიული ამოცანა: განამტკიცა შეიარაღებული აჯანყების გამარჯვება, გამოაცხადა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, საბჭოები გადააქცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებად.

პეტროგრადის შემდეგ სამი-ოთხი თვის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა რუსეთის იმპერიის თითქმის მთელ უზარმაზარ ტერიტორიაზე. ამიტომ უწოდა ვ. ი. ლენინმა ამ პერიოდს „საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლის პერიოდი“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობამ განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა ისტორიული განვითარების მთელ მსვლელობაზე. როგორც სკკპ ცკ-ის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ არის ნათქვამი, ოქტომბრის რევოლუციამ ...„მძლავრი რევოლუციური იმპულსები მიანიჭა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა რაზმს, დასახა კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაჩაღების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. თანამედროვე ეპოქის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში საბოლოოდ და სამუდამოდ დადგა მუშათა კლასი. დიდი ოქტომბრის გავლენით ყველა კონტინენტზე დაიწყო ორგანიზებული პროლეტარული ავანგარდის — კომუნისტური პარტიების ჩამოყალიბება“.

უზარმაზარი წარმატება, რასაც ოქტომბრის სამშობლომ მიაღწია, მისი გადამწყვეტი წვლილი ჩვენი პლანეტის თანამედროვე სახის ფორმირებაში, კოლოსალური წარმატებები ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამეცნიერო, კულტურულ და სხვა დარგებში — ყველა ეს მიღწევა წარმოადგენს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგს. ეს წარმატებები თვალსაჩინოდ ცხადყოფენ, თუ რა უპირატესობას აძლევს მშრომელებს სოციალისტური წყობილება, რომელმაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიერ ადამიანის კეთილდღეობისათვის უზარმაზარი წარმატებების მიღწევა, რაც სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ადამიანთა გულსა და გონებაზე მთელ მსოფლიოში.

შოთა აფრიდონიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველ მეჩაიეთა ახალი გამარჯვება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ასრულებენ და ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს, კარგი მოსავალი მოიწიეს და წარმატებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების სოციალისტური ვალდებულებანი.

დამამზადებელ პუნქტებსა და ჩაის ფაბრიკებში მიტანილია 405 ათასი ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი, რაც 81 ათასი ტონით აღემატება შესყიდვის დადგენილ მოცულობას. ამდენი ჩაის ფოთოლი რესპუბლიკაში პირველად დაამზადეს. მეჩაიეთა წარმატებას ხელი შეუწყო ჩაის პლანტაციებში მანქანა-მექანიზმების ფართოდ გამოყენებამ, გადასამუშავებელ ფაბრიკებში ახალი ტექნოლოგიური ხაზების დანერგვამ.

სიხარული უსაზღვროა — საქართველოს მეჩაიეებმა გადალახეს მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებული მიჯნა და დიდებული ნობათი მიუძღვნეს საოქტომბრო დღესასწაულს!

სიხარულს ახალი სიხარული მოჰყვა: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გულთბილი და გულითადი მოლოცვა გამოუგზავნა საქართველოს სახელოვან მეჩაიეებს, ჩაის მრეწველობის მუშაკებს.

გაწეული შრომის ასეთმა დიდმა შეფასებამ ახალი ძალითა და შრომითი შემართებით აღავსო ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები. თბილისში გაიმართა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა, პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენელთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რესპუბლიკური კრება.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები: პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ. შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

სიტყვით გამოვიდნენ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, კულტურის მოღვაწენი.

კრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

მიიღეს მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა მიწათმოქმედისადმი და მეცხოველისადმი.

კრებამ მიიღო განაწესი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისადმი, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იქნებიან მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე. დეპუტატებს დაავალეს, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით ხმა მისცენ სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას.

მიზანი ნათელია, სურვილი და ძალა უსასრულო! საბჭოთა საქართველოს მშრომელები საიუბილეო წელს ახალ მიჯნებს გადალახავენ, კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში!




# ოქტომბრის სახელობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში ჩასვლისთანავე ჩემი მეგზურობა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიგლა უბილავამ ითავა.

ის-ის იყო მანქანით შევუყევით სოფლის ბოლოსაკენ მიმავალ გზას, რომ ორღობეში ქალიშვილს შევასწარი თვალი.

მოდური კაბა ეცვა. მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარი მოხდენილად მოაბიჯებდა.

ქალიშვილს მკერდზე ფერად-ფერადი ყვავილების მოზრდილი თაიგული მიეხუტებინა.

— საით გაგიწევია, ნუნუ?—მანქანიდან შეეხმიანა თავმჯდომარე.

— ფერმაში, — ღიმილით შეაგება ქალიშვილმა, — ასე დილაადრიან სხვაგან სად წავალ?

— დაჯექი, ჩვენც ფერმაში მოვდივართ. — მანქანის კარი გამოაღო გიგლა უბილავამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ფერმაში ვიყავით.

სიმინდით დატვირთული მანქანა საკვების დასაქუცმაცებელ აგრეგატს მისდგომოდა. ჩვენ თვალწინ, ერთმანეთის მიყოლებით, სწრაფად იჭრებოდა, ქუცმაცდებოდა და ერთიან მასად იქცეოდა თითქმის უკვე დამარცვლებული სიმინდის კონები.

ფერმის გამგემ სოციალისტური შრომის გმირმა ივანე შამუგიამ რამდენჯერმე აურია ხელი ახლად დაქუცმაცებულ საკვებში, ნელ-ნელა დააპირქვავა სავსე პეშვი და მშვიდად თქვა:

— მთავარი მაინც პირუტყვის საკვებია!

მართალს ამბობდა ფერმის გამგე.

სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობაში უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება მიექცა მეცხოველეობის დაჩქარებულ აღმავლობას; პირუტყვის სულადობის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას მოითხოვდა.

# გზა თეთრი მწვერვალებისაკენ

— აი, აქედან იწყება ჯვარი-მესტიის გზატკეცილი, — მითხრა მძღოლმა და მარცხნივ მიმახედა.

ბოძზე გაკრულ რკინის ფირნიშს თეთრი ასოებით ეწერა: „მესტიამდე 111 კილომეტრი“.

— არც ისე შორი ყოფილა.

— სამაგიეროდ, გზაა ცუდი,—მომაგება მძღოლმა, — ოთხ-ნახევარი, ხუთი საათი მაინც დაგვჭირდება.

ჯვრის აღმართი ავათავეთ თუ არა, მკვეთრი მოსახვევები დაიწყო. კლდის ქარაფებზე გაჭრილი გზიდან ვერცხლის შუბივით მოჩანდა ენგური. უნებურად კრთებოდა ორწოხებს ჩაკიდებული თვალი, პიტალო კლდეებს შუა დახლართულ გზას შეჩვეული მძღოლი კი მოსახვევებშიც ისე სწრაფად მიაქროლებდა მანქანას, თითქოს ბეტონით მოპირკეთებულ ტრამალზე მისრიალებსო.

ასფალტიანი გზა დამთავრდა. მანქანა ურემივით აჯაყჯაყდა ქვებსა და პატარა ორმოებზე.

— მორჩა ჩემი „კოლხოზნიკის“ ჯირითი! — დანანებით შემეხმიანა მძღოლი, — აქედან მესტიამდე აქა-იქ თუ შეგვხვდება ასფალტიანი გზის პატარა მონაკვეთი, გზის მშენებლებს კი თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვნახავთ.

დუმილი ვამჯობინე. ფიქრში გართული გავცქეროდი ცისკენ ატყორცნილ მთათა მწვერვალებს, ყინულის ყაბალახებით რომ დაემშვენებინათ თავები. არც სიმწვანე აკლდათ კავკასიონის ამ საოცარ ბუმბერაზებს. ალპიურ საძოვრებს ნახირი შესეოდა, აქა-იქ ხელცელიან სვან მთიბავებსაც შევასწარით თვალი.

არა და აღარ ილეოდა გზა. შხუილით მორბოდა ენგური, მორბოდა და ხან ერთი მხრიდან მოგვექცეოდა ხოლმე, ხან მეორე მხრიდან ისროდა თავის აქაფებულ შხეფებს.

გადავივლიდით სანახევროდ დამთავრებულ ხიდებს, ავუქცევდით გვერდს ბულდოზერებით ახლად მკერდგაფატრულ ადგილებს, ჯერ კიდევ გაუწმენდავ მიწაყრილებს და ისევ გვილობავდნენ გზას ვეება თვითმცლელები, გრეიდერები, ექსკავატორები...

ხეობის სიმყუდროვეს დროდადრო მძლავრი აფეთქების გრგვინვა აყრუებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კიდევ ერთ პიტალო კლდეს შეერყა ოდინდელი სიმტკიცე, თვალსაწიერად, ხალვათად იქცა კიდევ ერთი ვიწრო მოსახვევი.

დაფერდებულ, ტალახიან ადგილს მივადექით. გაუჭირდა მანქანას, თუხთუხით ძლივსღა მიგორავდა აზელილ ტლაპოში.

წამით მომიბრუნდა მძღოლი:

— ამ ადგილს „შავ მონაკვეთს“ ეძახიან. ყოველდღე ასუფთავებენ და მაინც ასეა! მოიცა, მალე რკინა-ბეტონის კედლებში მოექცევა და მაშინ იტეხოს თავი.

მოსაუბრე შეჩერდა, საჭე გაასწორა და დინჯად დასძინა:

— კიდევ რამდენიმე თვე და შავი ასფალტის საოცნებო მდინარე გადაუვლის ამ გზებს. აბა მაშინ ნახეთ ზეიმი და ტაშისცემა, სიამტკბილობა და სიხარული. ეღირსება სვანეთი საუკუნეთა ნაოცნებარის აღსრულებას — ექნება ნამდვილი გზა, მხრებგანიერი და მოსწორებული...

მე უკვე ვიცოდი, რომ სვანეთის ამ გზის მშენებლობის დამთავრება დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის იყო გათვალისწინებული. სიმართლე გითხრათ, ცოტა დავეჭვდი, — რაც გზაზე საკუთარი თვალით ვნახე, ძალზე დიდ შრომას, დროს და შემართებას მოითხოვდა. ვაითუ ვერ მოასწრონ-მეთქი, გავივლე გუნებაში.



ამ ანძებით მიდის დენი მესტიისაკენ.



აი. ამიტომაც იყო, რომ კოლმეურნეებმა შემოდგომით 70-80 ჰექტარზე დაიწყეს შვრიის თესვა. გაზაფხულზე აღებული შვრიისაგან ისინი თივასა და სენაჟს ამზადებდნენ, განთავისუფლებულ ფართობზე კი მაშინვე თესავდნენ სიმინდს. ასეთი ციკლი ყოველწლიურად მეორდებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე პირუტყვის ნაკვეთმორიგეობით ძოვებას.

გულმოდგინე შრომამ, ახლის ძიებამ, მექანიზაციის ფართოდ დანერგვამ თავისი შედეგი გამოიღო: კოლმეურნეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება.

ყურადღებით ვათვალიერებთ ფერმას. სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე სუფევს ირგვლივ. ფერდებსავსე ძროხებს თეთრ ხალათებში გამოწყობილი მწველავები დასტრიალებენ.

— გოგოლა სარჩიმელია!—მეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ჩემს გვერდით დახრილ მწველავზე მიმითითებს.

ველის წითელი ჯიშის ძროხას გოგოლა სწრაფად ხსნის საწველ აპარატს, ხელში იმარჯვებს და ახლა მეორე ფურის ჯიქანზე ამაგრებს.

ავტომატური საწველი აპარატის მილებში ისევ საამოდ იწყებს ჩხრიალს რძე.

გოგოლა სარჩიმელია ცხრა წელიწადია რაც ფერმაში მუშაობს. უკანასკნელ ხანებში იგი თურმე 21 ფურს უვლის და თითოეულ მათგანზე წელიწადში 2.500 ლიტრ რძეს წველის.

წლევანდელი წელი სულ სხვაა! დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წელს თავისი საქმის მოყვარულმა მეცხოველემ ვალდებულება აიღო, რომ თითოეულ ფურზე 3.000 ლიტრი რძე ჩამოწველოს.

— ცხიმიანობა რამდენია? — ეკითხება თავმჯდომარე.

პედაგოგი რაისა შამუგია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიზატორი ელგუჯა აბაკელია.

აი, ამიტომაც იყო, მესტიაში შესვლისთანავე პარტიის რაიკომს რომ მივაშურე.

ივლისის დამდეგი იყო.

□ □ □

საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივნის ბორის სარალიძის კაბინეტში თავი მოიყარეს რაიონის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, გზის მშენებელთა ერთმა ჯგუფმა.

— უახლოეს დღეებში რაიკომის სპეციალური პლენუმი მიეძღვნება გზის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხებს, — მითხრა ბორის სარალიძემ. — პლენუმს დაესწრებიან რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების წარმომადგენლები, სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები, ყველა, რომელთა კოლექტივებზეც დამოკიდებულია სვანეთის გზის მშენებლობის დათქმულ ვადაში დამთავრება. პლენუმი კონკრეტულ გზებს დასახავს ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. აი, გაეცანით მშენებელთა დღევანდელ მაჩვენებლებს, — ღიმილით გამომიწოდა მასალები პირველმა მდივანმა, მერე რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ჯოკია ფილფანს და რაიონული გაზეთის რედაქტორს ვალერიან სალლიანს მიანდო ჩემი მასპინძლობა.

იმავე დღეს გულდასმით გავეცანი გადმოცემულ მასალებს.

ჩემს თვალწინ ერთხელ კიდევ ნათლად გაცოცხლდა ის დიდი, მართლაცდა სასახელო შრომა, რომელსაც სვანეთში გზის გასაყვანად ეწევიან.

ჯვარი-მესტიის გზას ამჟამად შვიდი სამმართველო აშენებს: ტრესტ „საქჰიდროელექტრომშენის"—ორი და საქართველოს გზათა მშენებლობის სამინისტროს ხუთი სამმართველო.

აღნიშნული ტრესტის ორმა სამმართველომ მშენებლობა ჯერ კიდევ 1962 წელს დაიწყო. გზის გამყვანებმა მონდომებით შეუტიეს საკმაოდ ძნელ მონაკვეთს ჯვარიდან ხაიშისაკენ. მათ უკვე გაფართოებული და ასფალტით დაფარული აქვთ 45 კილომეტრი გზა. ასევე წარმატებით აგრძელებენ მუშაობას ხაიში-დიზის მონაკვეთზე. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დათქმულ ვადაში ჩაეტიონ და 19 კილომეტრი გზა მოაასფალტონ.

დიზი-ლახამულას შორის სამშენებლო სამუშაოებს გზათა მშენებლობის სამინისტროს პირველი და მეშვიდე სამმართველოები აწარმოებენ.

ლახამულა-ბეჩოს მონაკვეთზე მე-18 სამშენებლო სამმართველო მოღვაწეობს. მუშაობა გონივრულად, მონდომებითა და ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ასევე მხოლოდ ქების თქმა შეიძლება მე-12 სამმართველოზეც. ამ სამმართველომ გზის მოასფალტების სამუშაოები მესტიიდან ეცერისაკენ დაძრა და დღითი დღე უახლოვდება დანიშნულ ზღვარს.

გზათა მშენებლობის მეხუთე საგზაო-სამშენებლო სამმართველო 1973 წელს შეიქმნა მესტიაში — სამშენებლო-სამონტაჟო უბნის ბაზაზე.

სამმართველოს კოლექტივმა პირველ დღეებიდანვე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს, მძლავრი მექანიზმებით შეუტია სვანეთის პიტალო მთათა ვიწროებს და აღებულ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებაში პირველობა არავის დაუთმო.

ბიჭებმა შარშან საამაყოდ გამოიჩინეს თავი. მათ გეგმაზე მნიშვნელოვნად მეტი — 570 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს. არც ხუთწლედის მეორე — საიუბილეო წელს შეურცხვენიათ პირი. ნახევარი წლის დავალება 115 პროცენტით გაანაღდეს და წლიური გეგმის შესრულებას ნოემბრისათვის ვარაუდობენ.

გადავწყვიტე, სამმართველოს უფროს ჯობე ქურდიანთან ერთად ერთხელ კიდევ დამეთვალიერებინა გზის სხვადასხვა უბნები, ახლო გავცნობოდი ვაჟკაცებს, რომლებიც აღორძინებულ სვანეთს ახალი საუკეთესო გზით კიდევ უფრო ამშვენებენ და ალალებენ.

გეზი ეცერისკენ ავიღეთ.

ლატალის მისადგომებთან შორიდანვე მოვკარით თვალი თეთრწვერა მოხუცს, რომელიც გზასთან იდგა და მზის ამობრძანებას გასცქეროდა.

სვანური ქუდი მოიხადა, დარბაისლურად მოგვესალმა. ვერც კი შევამჩნიე, ჩემი თანამგზავრი როდის გადავიდა გზის პირას შეჩერებული მანქანიდან.

როცა მეც დავიქვეითე, ჯობე ქურდიანი და მოხუცი უკვე ერთად იდგნენ და საუბრობდნენ.

მოხუცი სოფლის მახვში აღმოჩნდა — მამურზა გირგვლიანი.

— გამართული გზა გვენატრებოდა და ამასაც მოვესწარით! — გვითხრა გაბადრულმა ბაბუა მამურზამ და ასფალტიან ფართო გზას გააყოლა თვალი, — უამინდობამ და უგზოობამ ბევრი ადამიანი შეიწირა, მაგრამ ამასაც მოეღო ბოლო.

— მესტიაში პირველი ავტომანქანის ამოსვლაც გემახსოვრებათ? — შევაგებე კითხვა მოხუცს.

— რა თქმა უნდა, მახსოვს, — ჩაიცინა მან,— მაშინ ორმოცი წლის ახალგაზრდა კაცი ვიყავი... ახლა ოთხმოცს გადავაბიჯე.

გონების თვალით აღვადგინე წარსული. ზუსტად ამბობდა ბერიკაცი: მთებში მიყუჟულ სვანებს პირველად 1936 წელს გამოეცხადათ ნახევარტონიანი საბარგო ავტომანქანა.

აი, სწორედ ამ დღიდან დაქროლა განახლებული ცხოვრების კიდევ ერთმა ნათელმა სიომ. სვანეთისაკენ დაიძრნენ ავტომანქანები, რომლებიც პირთამდე იყვნენ დატვირთული ნავთით, მარილით, სხვადასხვა საოჯახო ნივთებითა და საჭირო საქონლით...

— ლაბორატორიაში აზუსტებენ, — საქმეში გართული გოგოლა ახლა მესამე ფურს უნაცვლებს საწველ აპარატს.

რძის ცხიმიანობის გასაზომ ლაბორატორიაში შესვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიპყრო ლარნაკში ჩადებულმა ფერად-ფერადი ყვავილების თაიგულმა.

მაგიდიდან თეთრ ხალათში გამოწყობილი ორდობეში გაცნობილი ქალიშვილი წამოდგა.

— ცხიმიანობა გაინტერესებთ? — შეკითხვისათვის არც კი დაუცდია, ისე გვიპასუხა მან, — საუკეთესოა! 8,8 პროცენტი.

— აი, სულ ასეთ სასიამოვნო ცნობებს გვაწვდის ჩვენი ნუნუ არჩაია! — ილიმება თავმჯდომარე, — თავის ქებაში ნუ ჩამოგვართმევთ, თუ ვიტყვით, რომ საიუბილეო წელს ახალი თვალსაჩინო წარმატებებით დავამთავრებთ!

ნუნუ სოფლის თავკაცს დასტურის ნიშნად უქნევს თავს.

●

— ჩვენი სოფლის წარსულსა და აწმყოს ყველაზე უკეთ სოფლის მუზეუმში გაეცნობით, — მეუბნება გიგლა უბილავა, — წავიდეთ, ნულარ ვაგვიანებთ, რაისა შამუგია უკვე გველოდება.

ფეხით მივუყვებით გზას.

— ჩვენს სოფელს წინათ ცაიშის კახათი ერქვა, — ფიქრიანად აგრძელებს სიტყვას თავმჯდომარე, — ოქტომბერი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დაურქმევიათ სოფლისათვის. ხალხი ამ სახელში თავის იმედს, რწმენას, ნათელ მომავალს ხედავდა და იმიტომ...

მუზეუმის სული და გული, მის მოვლა-პატრონობაში დიდი წვლილის შემტანი პედაგოგი რაისა შამუგია ეზოში გველოდება.

შევდივართ სოფელ ოქტომბრის მუზეუმში. ვრცელ დარბაზში გამოფენილი ფოტოდოკუმენტები, ხელნაწერები, სხვადასხვა საყურადღებო ექსპონატები მართლაც რომ ნათლად გვიხატავენ სოფლის წარსულსა და დღევანდელ ცხოვრებას.

პირველი სტენდიდან ამაყად გვიყურებს ახალგაზრდა ლამაზი ვაჟკაცი. იგი ცაიშის კახათის პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი ბოლშევიკი არი ქირია გახლავთ.

არი ქირიას მეთაურობით პარტიზანები გმირულად ებრძოდნენ მენშევიკთა დამსჯელ რაზმებს, რომლებიც უმოწყალოდ წვავდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ გლეხთა კარ-მიდამოს, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ ხალხს.

მზრუნველ ხელს კედელზე ერთმანეთის მიყოლებით ჩამოურიგებია საგანგებოდ მოძიებული ძველი ფოტოსურათები. ამ სურათებიდან ხალხის თავისუფლებისა და ნათელი მომავლისათვის მებრძოლი ცაიშის კახათის რევოლუციონერები გვიყურებენ.

სიღარიბე და შიმშილი, უუფლებობა და დაკნინება, სევდა და დაუოკებელი ნაღველი იყურება მუზეუმში გამოფენილი ძველი ყოფის ამსახველი ექსპონატებიდან.

მინგრეული ფაცხა... ატალახებული ვიწრო გზები.. ძირებშემოცვეთილი ქალამნები... პატარა ქოხში მიყუჟული ერთადერთი ორკლასიანი სკოლა... ჩამოძენძილი გლეხები... კიდევ რომელი ერთი ექსპონატი უნდა ჩამოთვალოს ადამიანმა ძველი დუხჭირი ცხოვრების გარდასულ დღეთა გასაცოცხლებლად?

კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარის ბიქტორ ვართაგავას სურათთან ვჩერდებით.

— 1928 წელს ჩვენს სოფელში ჩამოყალიბებულ გლეხთა პირველ ამხანაგობას მხოლოდ ათი ჰექტარი სავარგული და რამდენიმე უღელი ხარ-კამეჩი გააჩნდა, — გვიხსნის რაისა შამუგია, — ჩაის პლანტაციების გაშენება სოფელში მხოლოდ 1930 წლიდან დაიწყეს.

აქვე შევიტყვეთ, რომ ოქტომბერში 1936 წელს 13 ჰექტარზე ჰქონდათ გაშენებული პლანტაციები და სახელმწიფოს 64 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარეს.

კოლმეურნეობაში დღეს 200 ჰექტარზეა ჩარიგებული „მწვანე ოქროს" ბუჩქები. მეათე ხუთწლედის პირველ წელს სოფელ ოქტომბერში 1.857 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 8 ტონამდე აიყვანეს.

ესეც ცოტა იყო! საიუბილეო წელს სოფელმა, რომელიც დიდი ოქტომბრის სახელს ატარებს, კიდევ უფრო მეტი მონდომებით იშრომა და დედასამშობლოს 1.635 ტონამდე ჩაის საუკეთესო ნედლეული ჩააბარა.

იმატა ხვავმა. კოლმეურნეობაში უფრო და უფრო იზრდება ციტრუსების, ხილის, სიმინდის, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

გალაღებულ ჩაის პლანტაციებში, ტანაყრილ სიმინდის ყანებში, კოლმეურნეობის ბარაქიან სავარგულებში მძლავრად გუგუნებენ ტრაქტორები, ჩაის საკრეფი მანქანები. მექანიზებულია ერთწლიანი კულტურების ხვნა, ფარცხვა, თესვა, მინერალური სასუქების შეტანა...

ჩაის კომპლექსური მექანიზაციის რვა რგოლი დამატებით უვლის 50 ჰექტარ სიმინდის ყანას. ეს რგოლები თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენებით — სრული მექანიზაციითა და ჰერბიციდებით ამუშავებენ ნათესებს.

ისიც საკმარისია ითქვას, რომ სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობაში დღეს ყოველგვარ სამუშაოთა 70 პროცენტს მანქანებით ასრულებენ.

ვინ ქმნის საკოლმეურნეო დოვლათს? ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი სამაგალითო შრომაში?

საუბარში გართულებს გრეიდერი წამოგვადგა თავზე.

— აი, ვისაც ვეძებდი! — გადმომილაპარაკა ჯობემ.

ვაჟა დევდარიანი სანაქებო ვაჟკაცია მთელ მესტიაში. ტყუილად როდი ეძახიან გაჭირვების ტალკვესს. შარშან, დიდთოვლობისას სოფელ ბეჩოსთან დატოვებულ ბულდოზერთან ვაჟამ ფეხით მისვლა გადაწყვიტა. ჯობე ქურდიანიც გაჰყვა. ორ მეტრზე მაღალი თოვლის გარღვევა არც ისე ადვილი გამოდგა; ოცი კილომეტრის გავლას ორი დღე მოანდომეს გაუტეხელი ნებისყოფის ადამიანებმა და ენგურის ხეობას ბულდოზერის აგუგუნებით ამცნეს თავიანთი გამარჯვება.

მერე მთელი ორი კვირა სახლში აღარ გამოჩენილა ვაჟა დევდარიანი; იქვე ათენებდა და აღამებდა, თავგამოდებით წმენდდა თოვლისაგან გზას. მოძრაობის გახსნასა და მეზობელ რაიონებთან კავშირის აღდგენაში დიდი წვლილი შეიტანა ჭუბერელმა მექანიზატორმა.

ვაჟა ყველა სახის მანქანის მართვას არის დაუფლებული, ამხანაგებსაც ასწავლის რთული მექანიზმების გამოყენებას. ამიტომაც უყვართ იგი მექანიზატორებს და მუშებს, ინჟინრებსა თუ ტექნიკოსებს. ხალხის სიყვარულის გამოხატულებაა ისიც, რომ ვაჟა დევდარიანი არჩეულია პარტიის რაიკომის წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად, მიღებული აქვს ჯილდოები, მადლობები, ფასიანი საჩუქრები.

მეხუთე საგზაო-სამშენებლო სამმართველოში სხვაც ბევრია მოწინავე და საქმის ერთგული ვაჟკაცი. სვანები მარჯვენას ულოცავენ გზის მშენებლებს — გრეიდერის მემანქანეს ანზორ აფრასიძეს, მძღოლებს მუშნი კვიციანს, გაბრიელ გურლიანს, ბულდოზერის მემანქანეს ნოდარ შუკვანსა და სხვებს.

ჯობე ქურდიანმა დამათვალიერებინა მისი კოლექტივის ნაღვაწი და ნამოქმედარი. ამ სამმართველოს ხელი მესტიიდან ხაიშამდე წვდება. აქ ყველა ხიდი მესტიელი ვაჟკაცების მიერ არის აშენებული. მათ რკინა-ბეტონის არტახებში მოაქციეს მდინარეები — მესტიის ჭალა, მულხრა, დოლრა, კედლურა...

ჯობე ქურდიანი თავმდაბალი, მშვიდი კაცია, ბევრს არაფერს მეუბნება თავის თავზე. როცა მის პირად საქმეს გადავხედე, გავოცდი: სად არ უვლია სვან ვაჟკაცს, სად არ დაუსვამს კეთილი დაღი მშობლიური თუ მოძმე რესპუბლიკების მთაბარისათვის. ჯობე აშენებდა საქართველოს სამხედრო გზას, ბარისახო-შატილის გზატკეცილს, 2885 მეტრის სიმაღლეზე რომ კვეთავს დათვის ჯვრის უღელტეხილს. იგი იდგა სომხეთის გზების მშენებელთა რიგებშიც; ყველგან ამაგი დატოვა, ყველანი სიყვარულით იხსენიებენ და წერილობით უთვლიან მადლობას მას.



თვითმავალი საბურღი მანქანა

ამ შეკითხვაზე ზუსტ და ამომწურავ პასუხს გვაძლევს მუზეუმის ერთ კუთხეში გამოფენილი ფოტოსურათები.

ვათვალიერებთ სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანების ფოტოსურათებს.

— აი ამ კაცს ტრაქტორების დიდოსტატს ეძახიან, — ფიქრებში გართულს ჩამესმის რაისა შამუგიას ხმა.

კედელზე ჩამოკიდებული სურათიდან ვაჟკაცი გვიღიმის.

— თუ გინდათ, წავიდეთ, მოვინახულოთ კოლია აბაკელია? — პასუხის მოლოდინში ღიმილით შემომცქერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

აბა ტრაქტორების დიდოსტატის ნახვაზე ვინ იტყვის უარს?

●

აბაკელიების მექანიზატორთა დინასტიის არც ერთი წარმომადგენელი არ დაგვხვდა შინ.

ჩემთვის მალე ნათელი გახდა, რომ ეს ამბავი თურმე არც იყო გასაკვირი.

ოჯახის მამა — ტრაქტორების დიდოსტატი კოლია აბაკელია კოლმეურნეობის პირველ რგოლს ხელმძღვანელობს, მისი შვილი ანზორი — მეორეს. მამა-შვილი ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი. ვიდრე ბოლომდე და ხარისხიანად არ მოათავებენ ყველა სამუშაოს, ისე აბა რა მოიყვანთ შინ?

მანქანის საჭეს უზის კოლია აბაკელიას მეორე ვაჟიშვილი შარდენიც. მისი მანქანა ხან მამის რგოლში დატრიალებს, ხან — ძმასთან. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სად უჭირს კოლმეურნეობას, რას მოითხოვს გადაუდებელი საქმე.

ასეა, როცა გადაუდებელი საქმე მოითხოვს, კოლია აბაკელიაც მიატოვებს ხოლმე თავის რგოლს. მოვლენ. რომელიმე ტრაქტორის მწყობრიდან გამოსვლას შესჩივლებენ, სთხოვენ, შეეხვეწებიან და ტრაქტორების დიდოსტატი სწრაფად მიეშურება დაზიანებული მანქანის შესაკეთებლად.

წავა კოლია და მიტოვებული ტრაქტორის საჭეს ახლა მისი ქალიშვილი — მისივე რგოლის წევრი ჯულიეტა მიუჯდება ხოლმე.

ტყუილად როდია ნათქვამი: კვიცი გვარზე ხტისო. კოლია აბაკელიას ნაბოლარა ბიჭი ელგუჯა ჯერ მეხუთე კლასშია, მაგრამ ერთთავად ტრაქტორისკენ გაურბის თვალი.

ყველაზე მეტად ეს ამბავი ანზორს ახარებს.

ანზორ აბაკელია საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბევრ თანასოფლელ ჭაბუკთან ერთად, მექანიზატორი გახდა. ახლა იგი ახალგაზრდა მექანიზატორთა რაიონული საბჭოს წევრია.

ანზორს ხშირად იწვევენ რაიონის ცენტრში, სხვადასხვა დავალების შესასრულებლად იბარებენ კოლმეურნეობის კანტორაში, კომკავშირის კომიტეტში, ხან სად, ხან სად.

ნეტა უმცროსი ძმა ელგუჯაც მალე გახდეს მექანიზატორი. შემწედ ამოუდგება მხარში. როცა ანზორს რაიმე საქმეზე გამოიძახებენ, ადგება და მოცდენილ ტრაქტორზე თავის შემცვლელად ელგუჯას დასვამს ხოლმე.

ასეა, ასე, მექანიზატორთა დინასტიის ყველა წარმომადგენელმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სოფლის საერთო საქმეში, კიდევ უფრო ნათელი მომავლის აშენებაში!

●

დიდმა ოქტომბერმა ხალხს არა მარტო თავისუფლება, ერთა თანასწორობა, ოდითგანვე ნანატრი ნათელი და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა; მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების ცხოვრებაში განხორციელებამ ადამიანის ფსიქიკაც გარდაქმნა, მისი მსოფლმხედველობა სოციალისტური სამშობლოს, საერთო საქმისათვის უანგარო სამსახურს დაუქვემდებარა.

აი, თუნდაც ერთი მრავლისმთქმელი მაგალითი.

სოფელ ოქტომბერში 70 წელს გადაცილებული შრომის ვეტერანი ვარლამ წიწავა გავიცანი.

მისი ბიოგრაფია გაჭრილი ვაშლის ნაჭრებივით წააგავს მილიონობით მშრომელი ადამიანის ბიოგრაფიას.

ვარლამ წიწავამ ბავშვობა სიღარიბეში გაატარა. ულხინო იყო მისი ყრმობისა და სიჭაბუკის პირველი წლებიც.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გაუნათა ცხოვრების გზა ვარლამს, დაუსახა მიზანი, ჩაუნერგა საკუთარი თავისადმი რწმენა, აღაგზნო და აღაფრთოვანა შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

წლების მანძილზე თავდადებით შრომობდა კოლმეურნეობაში, ალალმართლად ემსახურებოდა თავის ხალხსა და სამშობლოს.

აკი დაუფასდა კიდეც შრომა. საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავით დაიმშვენა მკერდი.

წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 საიუბილეო წელს, შრომაში ნაჯაფ მოხუცს გულმა აღარ მოუსვენა. განცხრომისა და ხანდაზმული ჟანის მოსვენების ნაცვლად ისევ ბარს და თოხს წამოავლო ხელი.

არა, მარტო როდი იყო! კოლმეურნეობის ვეტერანმა გლეხკაცებმა, სიმინდის უხვი მოსავლის ძველმა ოსტატებმა პირი შეკრეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა! ლახდნენ. ითათბირეს, ვეტერანების რგოლები დააარსეს, ხელმძღვანელად აპოლონ შამუგია აირჩიეს და შვიდი ჰექტარი ფართობი სიმინდის ყანა გაიპიროვნეს.

ეს იყო მათი საიუბილეო [illegible], ეს იყო წვლილი, რომელიც ხანდაზმულებს სურდათ შეეტანათ საიუბილეო წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის გაშლილ დიდ სახალხო ლაშქრობაში.

აი, ჩვენი ადამიანების სახე და მრწამსი, აი ის ერთ-ერთი მტკიცე, უტყუარი ბალავარი, რომელზეც ეყრდნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამოცი წლის დიადი სახელმწიფო.

●

ისევ ერთად მივაბიჯებთ მე და თავმჯდომარე.

დავათვალიერეთ სოფლის შემოსასვლელთან აღმართული შინმოუსვლელ გმირთა უკვდავი ხსოვნის აღსანიშნავი პანო, ვეწვიეთ სოფელ ოქტომბრის კეთილმოწყობილ სამივე საშუალო სკოლას, გავეცანით თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასოფლო ამბულატორიის საქმიანობას...

გიგლა უბილავამ მანახა გარდამავალი დროშა, მედლები, რომლებიც კოლმეურნეობამ თავდადებული შრომით დაიმსახურა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

თანდათან ეშვება ბინდი.

ქუჩებში დღის სინათლეები კაშკაშებენ.

ხალხმრავლობაა. გუნდ-გუნდად მოდიან კოლმეურნეები, მოდიან ფეხით, მოდიან საკუთარი მსუბუქი ავტომანქანებით. ყველა კულტურის სახლისკენ მიიჩქარის.

დღეს სოფლის კულტურის სახლში კონცერტს მართავს დასავლეთ საქართველოს რაიონებში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნებული ოქტომბრის ვოკალურ-ინსტრუმენტული საესტრადო ჯგუფი „ლირა“.

ამ კონცერტს ვერ ვესწრები.

ვემშვიდობები სოფლის თავკაცებს, ვემშვიდობები ახლად გაცნობილ ადამიანებს. მივემგზავრები და შუქნათელი ფიქრი მიმყვება თან.

იმაზე ვფიქრობ, დიდი ოქტომბრის სახელობის სოფელი ზღვა სიხარულით, გარჯა-შრომაში მოპოვებული ახალი წარმატებებით რომ ეგებება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

**მზია კობერიძე**

ასეთი ადამიანები, ცხადია, სვანეთის გზასაც დაამთავრებენ და ბევრ სხვა სიკეთესაც მოუტანენ მამულს...

ამ რამდენიმე დღის წინ ერთხელ კიდევ დავუკავშირდი ტელეფონით ბორის სარალიძეს. რაიკომის პირველმა მდივანმა მაცნობა, რომ გზის მშენებლობა დაათვალიერა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გენადი კოლბინმა და საქმიანი გადაწყვეტილება მიიღო.

გზის მშენებლობის ტემპი დღითი დღე ძლიერდება. განუხრელად სრულდება რაიკომის პლენუმის დადგენილება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზრუნვითა და ყურადღებით გარემოცული მშენებლები ახალი გზის ღირსეულ საჩუქარსაც უმზადებენ ოქტომბრის დიად იუბილეს.

და ეს საჩუქარი, ეს ბედნიერება ერთეულების ხვედრი კი არ იქნება, მას თანაბრად გაინაწილებს მესტიის რაიონის 18 ათას 300 მცხოვრები, მთელი საქართველო!

კარგად იციან სვანებმა, ეს სიკეთე მათ დიდმა ოქტომბერმა მოუტანა.

**გიორგი გიგაური.**

ასფალტის დასაგები მანქანა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედის ადამიანები

# ვაზიც ჩვენი ბედია...



გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული რგოლის წევრები (მარცხნიდან): მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მარიკა ბერიკაშვილი, ელენე გურასპიშვილი, მარიამ არჯევნიშვილი და ელენე ელიზბარაშვილი.

ვამრავლოთ სამშობლოს ხვავი და ბარაქა, განვახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი! — აი ის მამოძრავებელი ძალა და დევიზი, რომლითაც დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავიანთ შრომით საქმიანობას წარმართავენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაუღალავად იღვწიან ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკები და ახალ-ახალ წარმატებებს უპატაკებენ სამშობლოს.

რესპუბლიკის სხვა მოწინავე რაიონების მშრომელებს არც ყვარლის რაიონის მშრომელები ჩამორჩებიან.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც აღაფრთოვანა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ, ახალი შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს მეათე ხუთწლედის სასტარტო წელს. დიდი მუშაობა განხორციელდა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისათვის, გადაჭარბებით შესრულდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებები.

მეათე ხუთწლედის მეორე, საიუბილეო წელს, რაიონში კიდევ უფრო მძლავრი შრომითი, პოლიტიკური და შემოქმედებითი აღმავლობის ვითარება სუფევს.

სოფლის მეურნეობის მშრომელები თავდადებით იღვწიან რათა ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის მეორე წელსაც ახალ-ახალი წარმატებები უპატაკონ სამშობლოს, შრომაში მოპოვებული გამარჯვებებით ხელდამშვენებულები შეეგებონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის კარზე მომდგარ მე-60 წლისთავის სახალხო ზეიმს.

□ □ □

ყვარელი ვაზის სამკვიდროა.

ალაზნის თვალუწვდენ ველზე საამოდ გადაჭიმულა ყვარლელთა გალაღებული ზვრები. დღეისათვის ეს ზვრები 8.000 ჰექტარზეა ჩარიგებული, მეათე ხუთწლედის ბოლოს კი მათი საერთო ფართობი 12.000 ჰექტარს მიაღწევს.

ლურჯად ბიბინებს ბორდოს ხსნარნასხურები, მოვლილი რიგთაშორისები. მათ დანახვაზე თვალწინ გიდგებათ დაკოჟრილი, დაძარღვული ხელი გლეხკაცისა, რომელიც ნაზად ეალერსება ვაზის ძირებს, ჩაჰღიღინებს, შრომაში გართული თავადაც წელში მოხრილა, შუბლი ოფლით დაცვარვია ადრიან გაზაფხულზე გასხლული, ნაცრემლი ვაზივით. გახსენდება ხვავ-ბარაქის შემქმნელი ადამიანი, რომელსაც უშრომია, კიდეც გაუსხლავს, კიდეც შეუწამლავს, ცაც გაუხსნია ფოთლებში ჩაბურულ-ჩამალული მტევნებისათვის და შემოდგომაზე თვალი ვეღარ მოუცილებია მზეჩამდგარი მარცვლებისათვის. მერე მოუკრეფია, დაუწურავს, ღვინო დაუყენებია, ჭიქა შეუსვია, დაუჭაშნიკებია და გულალმართლად უთქვამს:

— ვაზო, შვილივით ნაზარდო!

□ □ □

გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა ყვარლის რაიონში.

აქაურ მშრომელებს სოფლის მეურნეობის არც ერთ დარგში არ აქვთ ჩამორჩენა, მაგრამ თავიდათავი მაინც ვაზია! ეს მადლიანი მცენარე ოდითგანვე იყო და არის კახელი კაცის ტრფიალი. არა, მარტო კაცისა კი არა, საბჭოთა მეურნეობაში ახლა ბევრ მოწინავე მევენახე ქალსაც ნახავთ.

აი ერთ-ერთი მათგანი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი თამარ ჩაბრაშვილი.

ვენახში შევხვდით მას. უკვე ბინდდებოდა. მთელი დღის ნაშრომ-ნაჯაფი მევენახეები შინისკენ წამოსასვლელად ემზადებოდნენ.

თამარს მოერიდა, ბორდოს ხსნარით შეფერადებული ხელები უხერხულად გაშალა, მერე წინსაფრის ქვეშ შემალა, მოგვესალმა და საუბარში აგვყვა.

მშრომელ ადამიანთან მალე გამოინახება საერთო. ავაწყეთ საუბარი, გავშინაურდით, რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე ძველი ნაცნობებივით ვგრძნობდით ერთმანეთთან თავს.

— ალბათ ძალიან გიყვართ ვაზი, რომ ასე გვიანობამდე მუშაობთ ვენახში?

— მიყვარს, — მხარდამხარ ჩარიგებულ ვაზებს გახედა თამარმა, — ბავშვობიდანვე შევეჩვიე და მიყვარს.

ჩამობურულ ცას ახედა ჩემმა მოსაუბრემ, სახე მოეღრუბლა და განაწყენებული ხმით მითხრა:

— წელს ძალიან დავისეტყვეთ. საკვირველია, ღმერთმანი, ამოივლის ეს სეტყვა და ჩვენს სოფელს დააცხრება, ჩამოივლის და ისევ გრემს დასეტყვავს ხოლმე.

სულ ახლიდან გავსხალით ნასეტყვი ნაკვეთები, ლერწები იგრე იყო დასეტყვილი, ცრემლები მოგერეოდა. რაც გადარჩა, კარგია, ავთვალს არ ენახება... აი ნახეთ, გეგმას მაინც გადაჭარბებით შევასრულებთ!..

სიტყვას შესრულება უნდა. ამიტომაც არის, რომ ცისკარს ასწრებს ადგომას, საღამოს კი ბინდის ჩამოწოლამდე თავს დასტრიალებს ვაზს თამარი. უვლის და ესათუთება ზვარს, დროულად სხლავს, ფურჩქნის, ცას უხსნის, წამლავს... ვენახში სამუშაოს რა გამოლევს?

თამარის მეუღლე მიხეილიც მეურნეობის მოწინავე მუშაა. ორი შვილი ჰყავთ ჩაბრაშვილებს — ზაალი და ნანა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ორივემ გრემის საბჭოთა მეურნეობას მიაშურა და თანატოლ კომკავშირელებთან ერთად მეათე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებას შეეჭიდნენ.

ასეა, დედ-მამის ნათელი მაგალითი შვილებსაც უნათებს გზას!

საკუთარ თავზე სიტყვაძუნწობს თამარი. სამაგიეროდ ციფრები და ფაქტები ამბობენ ვრცლად მის სათქმელს.

მევენახე თამარ ჩაბრაშვილი დაჯილდოებულია შრომის დიდების ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით, 1973 და 1975 წლებში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნებით.

იგი წლების მანძილზე იყო სასოფლო საბჭოს დეპუტატი. სწორედ თამარი გახლდათ სასოფლო კლუბისა და მდინარეზე სოფელთან ხიდის აგების ერთ-ერთი ინიციატორი...

დაე, ემატონ ჩვენს ქვეყანას ასეთი გამრჯე და გულმართალი ადამიანები!

□ □ □

საბჭოთა მეურნეობის მუშას — მეაბრეშუმე ვარა მამაგულიშვილს გრემელ ოსანას ეძახიან ხუმრობით.

— ოცდახუთი წელია, რაც აბრეშუმის ჭიას ვუვლი, — დინჯად პასუხობს ჩემს შეკითხვას ვარა მამაგულიშვილი, — საიუბილეო წელს 120 კილოგრამი პარკი ჩავაბარე სახელმწიფოს.

აბრეშუმის ჭიის მოვლის დროს, როგორც გვითხრეს, ვარა თურმე ხშირად ღამეებსაც კი ათენებს ხოლმე. საჭიროა და ათენებს! დგება პერიოდი, როცა ნაზ და სათუთ ჭიას განსაკუთრებული მოვლა და მისათუთება სჭირდება. თუ დროით არ მიუტანე ფოთოლი, თუ ნორმალური ტემპერატურა არ დაიცავი, შეიძლება მთელი შრომა წყალში გადაგეყაროს — ჭია უზომოდ გაიზრდება, გამსხვილდება და პარკს ზომიერად არ ამოახვევს.

ჩვენი რესპუბლიკის მეაბრეშუმეთა წლევანდელ დიდ გამარჯვებაში ვარა მამაგულიშვილის, რა თქმა უნდა, პატარა, მაგრამ საპატიო წვლილიც არის.

— ახლა, როცა პარკი ჩააბარეთ, რას საქმიანობთ?

— ზვრებში ვმუშაობ, უსაქმოდ ხომ არ დავრჩები? — გაიოცა ჩემმა მოსაუბრემ, — შეხედეთ, ამ თითებს როგორ მოვასვენებ?

ვაზის ლერწს მიუგავდა თითები — მზეწაკიდებული და დაკოჟრილი, მოუსვენარი და ნაჯაფ-ნაშრომი, დოვლათის შემქმნელი და პატივსადები.

ეს დაკოჟრილი ხელები განსაკუთრებული შემართებით მოძრაობენ ახლა, როცა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო საცაა თავისი დაარსების, ხალხთა ურღვევი ძმური კავშირის სახელმწიფოს შექმნის მე-60 წლისთავის ზეიმს გადაიხდის.

— ორიოდე თვის წინათ ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტი განვიხილეთ, — ფიქრიანად მეუბნება ვარა, — რიგითი მოქალაქე ვარ და ჩემს ხმას მილიონობით მშრომელის ხმას ვუერთებ! ისღა დაგვრჩენია, დიდ ზრუნვას მეტი თავდადებული შრომით შევეპასუხოთ! თავს არ დავზოგავთ, პარტიის ნდობას გავამართლებთ!

დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს არ არის ლიტონი სიტყვები! ამის საწინდარია ხუთწლედის მოწინავე ადამიანის ვარა მამაგულიშვილის მთელი ცხოვრება, მისი გარჯა, მისი ფიქრები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იქითკენ არის მიმართული — მეტი დოვლათი შემატოს სამშობლოს!

ემატოს და დახვავდეს ჩვენს ბეღლებსა თუ მარნებში გამრჯე მშრომელთა დაკოჟრილი ხელებით მოწეული ეს ხვავი და დოვლათი!

□ □ □

გრემის საბჭოთა მეურნეობაში ჩამოყალიბებულია ორი კომკავშირული ბრიგადა, რომლებშიც 50 კომკავშირელია გაერთიანებული.

ერთ-ერთ ბრიგადას თამარ გურასპიშვილი ხელმძღვანელობს.

— სად არის? — მოვიკითხეთ თამარი და მაშინვე კომკავშირელებზე გაპიროვნებული ზვრები მიგვასწავლეს; თელავ-ყვარლის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, სოფელ შაქრიანის ბოლოს, ახალზვარია გაშენებული. ზვარს შესასვლელში დიდი წარწერა აქვს გაკეთებული „შინმოუსვლელთა ზვრები“.

ამ ზვრებს კომკავშირელები უვლიან, მხოლოდ და მხოლოდ კომკავშირელები!

სწორედ მათ, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით გულანთებულმა ახალგაზრდებმა ამ სამიოდე წლის წინ გატეხეს ყამირი, ჩაყარეს და 50 ჰექტარზე გააშენეს ვაზი.

ახლა შინმოუსვლელთა ზვრები ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ საბჭოთა მეურნეობაში.

შარშან ორწლიან ვაზზე პირველი მოსავალი მოკრიფა თამარ გურასპიშვილის ბრიგადამ. ოცდახუთ ჰექტარზე 9 ტონა ყურძენი მიიღეს — ახალშენისათვის ასეთი მაჩვენებელი ცუდი როდია.

და განა მხოლოდ ვენახი, კომკავშირელებს ყველგან შეხვდებით: კალოზე, ფერმაში, ხეხილის ბაღში და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამაა მეურნეობაში გასაკეთებელი.

— ჩემს ბრიგადაში ოცდახუთი კომკავშირელია, — გვეუბნება ბრიგადირი თამარ გურასპიშვილი, — სოციალისტურ შეჯიბრებაში მეურნეობის მეორე კომკავშირული ბრიგადა გვყავს გამოწვეული. წელს ზვრებს მეცხრედ ვწამლით, მწვანე ოპერაციები დროულად და ხარისხიანად ჩავატარეთ, გადაწყვეტილი გვაქვს, ოცდახუთ ჰექტარზე ორმოცდაათი ტონა ყურძენი მოვკრიფოთ.

გავყურებთ გამოთოხნილ, მოვლილ რიგთაშორისებს და ნათქვამი სიტყვების რწმენა გვიმტკიცდება.

გრემის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელებმა კარგი შრომისათვის, წლევანდელი ნახევარი წლის შედეგების მიხედვით, გარდამავალი დროშა მოიპოვეს.

კომკავშირელთა საქმიანობის გაცნობამ მალე მეღორეობის სასუქ პუნქტამდე მიგვიყვანა.

— სულ ოთხი მწყემსი მყავს, — გვითხრა პუნქტის გამგემ არსენ გოცირიძემ, — უნდა გითხრათ, პუნქტში მეტად შრომატევადი სამუშაოებია შესასრულებელი. შარშან სამშობლოს მივყიდეთ გეგმით გათვალისწინებული 170 ტონა ხორცი, წელს გეგმის მიხედვით 200 ტონა ხორცი უნდა ვაწარმოოთ. უკვე ჩავაბარეთ 119 ტონა, წლის ბოლოსათვის გადაწყვეტილი გვაქვს, რომ მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ გეგმას.

და აქაც, ფერმაშიც, თვალსაჩინო ადგილზე მოჩანს პლაკატი „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად!“. — ამ მოწოდების შესრულებაში გრემელთა გარჯის ნაყოფიც შედის, სამშობლოს დოვლათს გრემელთა ასეული ტონებიც ემატება.

დიდი ოქტომბრის საიუბილეო დღესასწაულს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივიც შრომაში მოპოვებული ახალი თვალსაჩინო მიღწევებით ეგებება.

თამარ დემეტრაშვილი

# ლენინური გეგმის პირმშო საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ვოლხოვჰესის შემდეგ ზაჰესი მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგური იყო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში აშენდა. მისი აგება ვ. ი. ლენინის მიერ დასახული სოციალისტური მშენებლობის პროგრამის მიხედვით განხორციელდა; მშენებლობის მიმდინარეობას დიდ ყურადღებას აქცევდა ბელადი.

ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 1922 წლის 10 სექტემბერს დაიწყო დიდი მასობრივი შაბათობით.

იმ დღეს ზემო ავჭალისაკენ უამრავი ხალხი დაიძრა. მიდიოდნენ ბარებით, წერაქვებით, ლომებით, ხელის საზიდრებით. წინ თუხთუხით, მძიმემძიმედ მიმავალ მსუბუქ ავტომანქანას ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, გერონტი ერისთავი, მშენებლობის უფროსი ბესარიონ ჰიჰინაძე.

გზაზე გლეხები გამოჩნდნენ მხრებზე გადადებული ბარებითა და წერაქვებით.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, — ხელის აწევით მიესალმა სერგო ორჯონიკიძე გლეხებს, — შემოგვიერთდით, შემოგვიერთდით!

გლეხები მაშინვე შეერივნენ თბილისელთა ლაშქარში.

დაიწყო იმ დროისათვის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ზაჰესის აშენებამდე თბილისში მოქმედი ყველა ელსადგური მხოლოდ 2.200 კილოვატს გვაძლევდა, ზაჰესის ყველა აგრეგატის მწყობრში ჩადგომის შემდეგ კი საქართველოს დედაქალაქმა 37.800 კილოვატი ელექტროენერგია მიიღო.

საბჭოთა საქართველოში „გოელროს“ ლენინური გეგმის პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის საზეიმო გახსნა 1927 წელს შედგა. მისი ამოქმედება საერთო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა.

თბილისში აკიაფდნენ არა მარტო ილიჩის უამრავი ნათურები, არამედ ერთმანეთის მიყოლებით ჩადგნენ მწყობრში ახალი ქარხნები და ფაბრიკები, მძიმე თუ მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა მძლავრი საწარმოები, რომლებსაც ზაჰესის ენერგია კვებავდა.

დიდია ის წვლილი, რომელიც ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურმა შეიტანა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჰიდროელექტროსადგური დღესაც შეუფერხებლად მუშაობს და მშრომელებს აწვდის ელექტროენერგიას.

ზაჰესის მწყობრში ჩადგომის ნახევარსაუკუნოვანი დღესასწაული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის საყოველთაო--სახალხო ზეიმს ემთხვევა. აი, ამიტომაც არის, რომ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მთელი კოლექტივი, ჩვენი რესპუბლიკის ყველა ენერგეტიკოსი, გაორკეცებული ენერგიით შრომობს. მათი მიზანია, შეუფერხებლად მეტი ელექტროენერგია გამოიმუშაონ, ხელი შეუწყონ მძლავრი ინდუსტრიის მაჯისცემას, ახალი შრომითი წარმატებებით ასახელონ სამშობლო.

ოთარ ქავთარაძე

# ზაჰესი 50 წლისაა

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.

- კაშხალი.
- ვ. ი. ლენინის ძეგლი კაშხალთან
- ელსადგურის სამანქანო განყოფილება.



ეროვნული ბიბლიოთეკა







1905 წელი



1917 წელი



1924 წელი

დინარა ნოდია



რევოლუციის ჯარისკაცი

ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თაია

მოთხრობა

გრიგოლ ჩიქოვანი



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

წვიმა ფანჯრის მინებზე წკაპაწკუპით ეცემოდა. მოქურუხებულ ცაზე მთვარე მიცურავდა, სხვადასხვა მხრიდან ანათებდა ღრუბლებს, ზოგან თხლად რომ ეკიდა კაბადონზე და ზოგან სქლად. ხან სულ ჩაიმალებოდა ღრუბლებში, მერე ერთბაშად ამოყვინთავდა და მაშინ ფანჯარასაც ანათებდა.

გაანათებდა თაიას სახესაც, დაქანცულს, გამხდარს, ფერმკრთალს. გაანათებდა მის მსხვილ, შავ, სევდიან თვალებს. ფანჯარასთან ტახტზე იწვა დაყურადებული, დაცეცებული. ყურს უგდებდა წვიმას. იქნებ ბათუსა და დურუს საფლავებსაც აწვიმს. ამ ოთახში იწვნენ ისინი: სიბნელეში დგას მათი ტახტები. ლოგინები ისევ ისეა გასწორებული, როგორც მათი ომში წასვლის დღეს.

დროდადრო ბათუსა და დურუს ტახტებსაც ანათებდა მთვარე.

ბათუს ტახტი მარჯვენა კედელთან იდგა, დურუს — მოპირდაპირე კედელთან.

თაია დაწოლისას ლამპას აქრობდა, რომ ძმებს არ დაენახათ როგორ იხდიდა ტანზე. დილით პირველი იღვიძებდა და კაბას საბნის ქვეშ იცვამდა. ძმებს ეძინათ. მაინც საბნის ქვეშ იცვამდა კაბას და ოთახიდან ფეხშიშველი გადიოდა. თოთხმეტი წლის გოგო ჩვიდმეტი წლის ქალიშვილივით იყო მოწიფული. ახლა გამხდარი, თვალებგადიდებული იწვა. ყურს უგდებდა წვიმას.

ტახტებზე ველარასოდეს ველარ გაშლიან ბათუ და დურუ ლოგინებს. ტახტები ისევ ისე იდგმება, ლოგინები ისევ ისე გასწორდება. თაია მათ თვეში ერთხელ ამზეურებს, ფერთხავს და ისევ ისე ასწორებს, როგორც ბათუ და დურუ ასწორებდნენ. ერთი ნაკეცი არ შეეშლებოდათ. არც თაიას ეშლება ერთი ნაკეცი.

წვიმა გახშირდა. დგაფადგუფით ეცემოდა მინებს. ბათუსა და დურუს საფლავებსაც ეცემა წვიმა. თაია კი ლოგინში წევს, საბანი აფარია. თაია რატომ უნდა იწვეს ლოგინში?! ბათუსა და დურუსავით რამდენი წევს საფლავში. სხვები სანგრებში წვანან. იბრძვიან. დღისითა და ღამით იბრძვიან. აწვიმთ, ათოვთ. თაია ჭერქვეშ წევს, რბილ ლეიბზე წევს. საბანი აფარია. ისინი სველ მიწაზე წვანან, წყალში წვანან, თოვლში წვანან. თაია რატომ წევს რბილ ლეიბზე. რატომ აფარია საბანი?! ლეიბი უცებ ისეთი მაგარი ეჩვენა, რომ ტანი ეტკინა. გამხდარი, უღონო ტანი, შრომისა და შიმშილისაგან, ჯავრისა და ტანჯვისაგან დასუსტებული ტანი.

წინათ, ომის დაწყებამდე, ბათუსა და დურუს დაღუპვის სამკუთხა ბარათის მიღებამდე, ქვაზე რომ წოლილიყო, ტანი არ ეტკინებოდა, მკვრივი ტანი, სიცოცხლე რომ ჩქეფდა, ძალა რომ ჩქეფდა, ახლა ჩვარივით რომ გდია ლოგინზე და ლეიბი ისეთი მაგარია, ძვლები ტკივა.

დღეს თაიამ, დედამ და უტამ იმდენი ფოთოლი ვერ მოკრიფეს. რგოლმა ნორმა ვერ შეასრულა. დედა ავადაა. დურუზე სამკუთხა ბარათის მიღების შემდეგ დედა სულ ავადაა, მაგრამ არ ამხელს. არც თაიას უმხელს, არც უტას, არც მეზობლებსა და რგოლის წევრებს.

უტას შიმშილისაგან თავბრუ ეხვევა და ფოთოლს ვერ არჩევს, თვალიც უბნელდება შიმშილისაგან. მეორე წელიწადია სკოლაში არ დადის. დედასა და თაიას ეხმარება, ისიც კრეფს ფოთოლს პატარა, გამხდარი ხელებით.

ჯავრისაგან ვერც დედა არჩევს ფოთოლს. დედასაც ეხვევა თავბრუ. დედას არ შია. ჯავრისა და სიმწრისაგან ეხვევა თავბრუ.

ღამე ყველა ჯარისკაცი არ წევს სანგარში. ბათუც არ იწვა ღამე სანგარში. დაზვერვაზე მიდიოდა. დურუც არ იწვა ღამე სანგარში. დურუც დაზვერვაზე მიდიოდა. თაია რატომ წევს ლოგინში?! ხვალ რომ ბრიგადირმა ჰკითხოს, რატომ ვერ მოკრიფა შენმა რგოლმა დღის ნორმაო, რა უპასუხოს? დედა არ იტყვის ავადა ვარო. უტა არ იტყვის თავბრუ მეხვევა, თვალთ მიბნელდება შიმშილისაგანო. ვის არ შია ახლა. ვის არ კლავს შვილის ჯავრი, ქმრის ჯავრი, მამის ჯავრი, ძმის ჯავრი.

ჯერ ბათუს ტახტი დაობლდა, მერე დურუს. თაია დაწოლისას ლამპას აღარ აქრობდა. ვის თვალს მოარიდებდა ტანს! არც ფეხშიშველი გადიოდა ოთახიდან. ვის გააღვიძებდა მისი ნაბიჯი!

ოდის მეორე თვალში დედა და უტა წვანან. ბათუ და დურუ ათ წლამდე დედასთან იძინებდნენ. ათი წელიწადი რომ შეუსრულდათ, ამ ოთახში გადმოსახლდნენ. უტას დიდი ხანია ათი წელიწადი შეუსრულდა, მაგრამ დედა მარტო ვერ დატოვა.

მამა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ქარხანაში მუშაობდა. როგორც მაშინ, ახლაც შინ იშვიათად ჩამოდიოდა. მამა რომ შინ იყოს, უტა თაიას ოთახში დაწვებოდა, მაგრამ აქ ადგილი არ არის. ბათუსა და დურუს ტახტზე არ დაწვება უტა. არ ჯერა, რომ ძმები არ დაბრუნდებიან და თავის ტახტზე არ დაწვებიან.

წვიმა შეწყდა. მთვარემ გამოანათა. სავსემ, ბრდღვიალამ. თაიას ოდა შემაღლებულზე იდგა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა თაიას რგოლის პლანტაცია. მთვარის შუქზე მუქ-მწვანედ კრიალებდა ბუჩქები. წყალი იდგა ბუჩქებში. წყალიც კრიალებდა პლანტაციაში. თვეზე მეტია წვიმს და წყალს აღარ იღებს მიწა.

თაიას არ ახსოვს ასეთი წვიმიანი შემოდგომა. გამოდარებას საშველი არ დაადგა. მზე იშვიათად გამოდიოდა მძიმე ღრუბლებიდან. ზღვიდან ხშირად ქარიშხალი ამოიჭრებოდა და ღვართქაფს ისეთი სიძლიერითა და სისწრაფით მოაქროლებდა, ღობეებსა და სიმინდის დატაროებულ ყანებს აწვენდა. მეჩაიე ქალებს ფეხზე არ აჩერებდა.

ქარიშხალი ზღვისპირა დაჭაობებულ დაბლობებს რომ გადაუვლიდა, მერე კიდევ უფრო იკიდებდა ძალას, დააცხრებოდა მინდვრებს, ჭალებს, ყანებსა და პლანტაციებს, სოფლებს და ურთას მთისაკენ მიჰქონდა ღვართქაფიანი წყალტეხილი.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი შიშით შეჰყურებდა ღრუბლებით მოჯოგრილ ცას, ცეცხლის ძარღვებით რომ ელავდა და ქუხილით უსკდებოდა შავი მუცელი, ელვა და ჭექა ერეკებოდა ღრუბლების ჯოგს, მაგრამ მზე გამოჩენას ვერ ასწრებდა, რომ ცა ისევ მოიჯანყებოდა.

ყანები წყალში იწვა. ჩაის ბუჩქები წყალში იდგა.

წვიმა ისევ აწკაპუნდა ფანჯრის მინებზე.

კოლმეურნეობას ერთი კალათი ფურცელი არ უნდა დააკლდეს. ჯარისკაცები ღამითაც იბრძვიან. აწვიმთ და ათოვთ. დღისითაც და ღამითაც აწვიმთ და ათოვთ, დღისითაც და ღამითაც იბრძვიან.

წამოდგა თაია. კაბა გადაიცვა. ერთხანს იჯდა და ბათუსა და დურუს ტახტებს დაცქეროდა.

ისევ გახშირდა წვიმა. დგაფადგუფით ეცემოდა მინებს.

კედლიდან თავსაფარი ჩამოხსნა. ფეხშიშველი გავიდა ოთახიდან, თითქოს კვლავ ტახტზე იწვნენ ბათუ და დურუ და ეძინათ.

სამზადში კალათები, ჭრაქი და ასანთი აიღო. ასანთი წვიმას რომ არ დაესველებია, უბეში ჩაიდო. ჭრაქი კალათში ჩადო. კარი მიიხურა.

შუაღამე გადასული იყო.

ოდებში არსად არ ენთო ლამპა. მიდიოდა შუკაში. წვიმამ მაშინვე გააკრა ტანზე კაბა. ფეხებქვეშ წყალი და ტალახი ჭყაპუნებდა. შიშს ჰგვრიდა ეს ხმა. ასე გვიან ღამე არასოდეს არ გასულა ოდიდან.

სოფლიდან რომ გავიდა, მთლად აიტანა შიშმა. ტყის პირას მიდიოდა. წვიმას შაშუნი გაჰქონდა ფოთლებზე. უცებ ტყიდან ტურა გამოვარდა. ისე ახლოს ჩაურბინა, რომ გვერდი გაჰკრა.

თაიამ შეჰკივლა, ფეხი დაუსხლტა, კალათები გაუვარდა და გვერდზე გადავარდა. არ იცოდა რამ გაჰკრა გვერდი. განძრევას ვერ ბედავდა. ასე იწვა ერთხანს. მერე დაინახა კალათები. ჭრაქი არ გადმოვარდნილიყო. ასანთი უბეში ედო. ირგვლივ სიწყნარე იდგა. მხოლოდ ტყე შაშუნებდა ისევ ისე. წამოხტა და პლანტაციისაკენ მოკურცხლა. ფეხქვეშ წყალი და ტალახი მაღლა იჭრებოდა. წვიმასთან ერთად ისიც ასველებდა. მღვრიე, ტალახიანი ცივი წყალი. ერთი თვეა წვიმს და შეეჩვია წყალს,. შეეჩვია სიცივეს, შიმშილს. ბათუსა და დურუს ომში წასვლის შემდეგ რას არ შეეჩვია. დაიღალა სირბილით, ყელი გაუშრა, ესერებოდა, ეწვოდა, ხრიალით სუნთქავდა. მკერდი უსკდებოდა, მუხლი არ ემორჩილებოდა. შედგა, სული მოითქვა და მერე ნელა განაგრძო გზა.

წვიმა სახეში სცემდა, მკერდზე სცემდა, სუსტ, გამხდარ მხრებზე სცემდა. ჰაერთან ერთად წვიმის წყალს ყლაპავდა, უგემურ, უფერულ წყალს.

გამოჩნდა ბრიგადის პლანტაციის ქოშკარი. კი არ გამოჩნდა, გონების თვალით დაინახა. იმიტომ არ გამოჩნდა, რომ წვიმის ფარდა და სიბნელე ფარავდა. გავლილი მანძილით იგრძნო, რომ იქ იქნებოდა ქოშკარი.

ამ სიბნელეში, ამ წვიმაში, როგორ დაინახავს ჭრაქით განათებულ ფოთოლს! რამააყენა შუაღამისას, ასეთ ამინდში!

თავი ასწია და ცას ახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალექო შენგელიას გამოუქვეყნებელი ლექსი

## ლადო ასათიანი სამრეცხაოს შესახვევში

ოთახში ხრჩოლავს ულონო ლამპა
და ჰერზე ლამპის მთვარე ჰხატია,
შეჰყურებ მას და ცას ხედავ, ალბათ,
ქართული ცა ხომ შენი ხატია.

ღამეში ცდილობ დაიხშო ხველა, —
მეგობარს ძილი არ გამიკრთება,
გადაბრუნდები კედლისკენ ნელა...
შენი ცრემლიც არ გამიკვირდება.

გამელვიძება. შეგხედავ წამსვე,
სიყვარულისგან განაწვალები,
უძილო, წმინდა, სხივებით სავსე
დაელვარებენ შენი თვალები.

ო, როგორ მინდა კვლავ ოქროყანა,
თან წავიჩხუბოთ, თან ვისაუბროთ,
რომ ლამაზია ჩვენი ქვეყანა,
შენ კი ლამაზი რომ გინდა უფრო.

გმირებს უმღერდი, ძმობილო ჩემო,
ახლაც იმ გმირებს ელერსები...
და მღელვარებენ მათ გარეშემო,
დაუწერელი შენი ლექსები.

თვით ლექსი იყავ, სიმღერა იყავ,
ყველა ლერწამი ლექსად გათალე,
მე შენი გული ამიტომ მიყვარს,
ეჰ, დაილოცოს ლექსი მართალი.

3. XI-47 წ.

მთვარე ისევ დაცურავდა ღრუბლებში. ღრუბლები შეთხელებულიყო. შავი ღრუბლების ქარავნები ურთას მთისაკენ მიღოღავდა და უკან თეთრ, თხელ, დაფლეთილ ღრუბლებს ტოვებდა. მთვარე თეთრ ღრუბლებში დარჩა. გაანათა ჭიშკარი, ჭიშკრის წინ მდგარი ფარდული, მის ქვეშ გრძელი მერხები და გრძელი მაგიდა. აქ აფარებდა წვიმას თავს ბრიგადა, აქ ჭამდნენ სამხარს, აქ ისვენებდნენ.

არც ერთ ბრიგადას არ ჰქონდა ფარდული. იგი დურუმ ააშენა. დურუ მეჩაიეთა ბრიგადირი იყო. რა არ გამოუდიოდა ხელიდან, რა საქმე არ იცოდა. ყველაფერს გულდასმითა და სიყვარულით აკეთებდა. მის გაკეთებულს ყველა იცნობდა, მაშინვე იტყოდნენ, დურუს ხელიდან არის გამოსულიო.

წვიმამ გადაიღო. თეთრი ღრუბლები კიდევ უფრო შეთხელდა, მიმოიფანტა. თაია მაინც შევიდა ფარდულში. კალათები მაგიდაზე დადგა და მერხის ბოლოს ჩამოჯდა. ამ მაგიდის თავში ჯდებოდა დურუ. ამ თავიდან ელაპარაკებოდა ბრიგადას. ყველა თვალში შესციცინებდა. ყველას უყვარდა დურუ. ახალ ბრიგადირს, ახლა რომ დურუს ადგილზე ჯდება, არც კი უყურებენ. არავის არაფერს უშავებს ახალი ბრიგადირი, საქმეს კარგად უძღვება, ბრიგადის წევრებს თავს ევლება, მაგრამ რაღა მაინცდამაინც დურუს ადგილზე ჯდება ის დალოცვილი.

თაიამ ხელი გადუსვა მაგიდის თავს. აქ ედო დურუს ხელები და ისე ელაპარაკებოდა ბრიგადას თაიამ მკლავიც გადუსვა მაგიდის თავს. სოფელმა დურუს ფარდული შეარქვა ამ ადგილს. დურუს ბრიგადის გარდა, ყველა ამვლელ-ჩამვლელი აფარებდა მის ქვეშ თავს წვიმასა და მზეს.

სამი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც დურუ ჯარში წავიდა და მაინც დურუს ფარდულს ეძახიან ამ ადგილს და ისეთი სითბოთი წარმოთქვამენ ამ ორ სიტყვას, თითქოს იგი წმინდანის სახელი იყოს. ახლა ფარდული თავშესაფარიც იყო სოფლისათვის და დურუს მოსაგონარიც, ომის მოსაგონარიც, დურუს შრომის მოსაგონარიც.

ახალი ბრიგადირი ჯუნა ჯგუბურია ხშირად ახსენებდა ამ ფარდულის ქვეშ დურუს სახელს. დურუს გაეხარდება, თუ თქვენ მეტს მოკრეფთ. დურუს სახელით გთხოვთ, გამოიღოთ ხელი... დურუს ხათრით... არ შევარცხვინოთ დურუს ბრიგადა... დურუ იქ ტყვიას უდგას პირისპირ... დურუს ხათრით ბრიგადა მეტს კრეფდა. ბრიგადის ყველა მამაკაცი ომში იყო წასული და მაინც მეტ ფოთოლს იწევდა ბრიგადა.

თაია წამოდგა და კალათები აიღო. ჭიშკარში შევიდა. მისი ნაკვეთი ზედ ჭიშკართან იყო მომდგარი. ფართოდ გამდგარი ბუჩქები, ერთმანეთთან მჭიდროდ მდგარი, ლარივით იყო გაჭიმული. მწკრივები ისე იყო ერთმანეთთან მიახლოვებული, რომ მკრეფავი ძლივს შედიოდა მწკრივებს შუა.

თაია მწკრივის თავში პირველ ბუჩქთან შედგა. კალათები ქამრით აქეთ-იქით დაიკიდა წელზე. ჭრაქი ბუჩქზე მოხერხებულად ჩადგა და მოუკიდა. მთელი ბუჩქი გაანათა შუქმა. არ ეგონა, თუ ასე კარგად გაანათებდა ჭრაქი დუყებს. ყველა დუყს ხედავდა. იქნებ იმიტომ, რომ თვალდახუჭულს ალღოთი შეეძლო ყველა დუყის დანახვა. დაიხარა და კრეფა დაიწყო. წყალში და ტალახში იდგა. სველი კაბა ტანზე ეკრა. სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა, მაგრამ მაინც მისი გამხდარი ხელები სწრაფად დაჰქროდნენ ბუჩქის თავზე...

კანტორიდან მომავალმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დათა რიგვავამ და ბრიგადირმა ჯუნა ჯგუბურიამ პლანტაციაში შუქი დაინახეს. შედგნენ. ერთმანეთს გადახედეს.

— ეს რა სინათლეა ამ შუაღამისას, ჯუნა?! — გაიკვირვა თავმჯდომარემ.

— ამასწინათ ფაშისტების თვითმფრინავს პარაშუტისტები ჩამოუსხამს დარჩელში, — უთხრა ჯუნამ თავმჯდომარეს.

— მზვერავი შუქს არ აანთებს, ჯუნა.

თავმჯდომარე და ბრიგადირი შუქისაკენ გაეშურნენ. ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ თავმჯდომარემ თაია უმალ იცნო.

— ცაბუ ქუთელიას გოგოა. შენი მერგოლური.

— შვილო! — აღმოხდა ჯუნას, — ეს რას ხედავს ჩემი თვალი!

ჭიშკარი შეაღეს და პლანტაციაში შევიდნენ.

თაია ისე იყო გართული ფოთლის კრეფით, ჭიშკრის ჭრიალი არ გაუგონია.

— რამ გადაგრია, გოგო?! — მიაძახა დათამ თაიას.

თაია შეკრთა. არავის ელოდა აქ ამ დროს. წელში გაიმართა და თავმჯდომარე და ბრიგადირი რომ დაინახა, დამშვიდდა, მაგრამ რაღაც უხერხულობა იგრძნო. რაღაც კი არა, მიხვდა, რომ არ მოეწონებოდნენ თავმჯდომარე და ბრიგადირი საქციელს.

— რას შვრები, თაია?! — თვალს არ დაუჯერა ჯუნამ.

ტანზე კაბა გაკრული, სველი, კიდევ უფრო გამხდარი და სუსტი იდგა მის წინ თაია, შემკრთალი შეჰყურებდა თავმჯდომარესა და ბრიგადირს.

— დეი... დღეს ჩემმა რგოლმა ვერ მოკრიფა...— მეტი ვერაფერი თქვა, ტუჩები, ყბა სიცივისაგან გახევებული ჰქონდა.

— ვინ გითხრა შუაღამისას გადი საკრეფადო?!— უთხრა გაღიზიანებით თავმჯდომარემ. ხედავდა. ძლივს იდგა ფეხზე თაია. ალტაცებით უყურებდა, მაგრამ არ უნდოდა, დაენახა ეს თაიას. დათა გარეგნულად ცოტა მკაცრი და უკმეხი იყო, მაგრამ კეთილი გული ჰქონდა. ამას არასოდეს არ ამჟღავნებდა. ახლა მისმა ხმამ ვერ დაფარა აღტაცება, ვერც სახემ დაფარა. მაინც რაც შეეძლო მკაცრად გაუმეორა კითხვა: — ვინ გითხრა-მეთქი, შუაღამისას გადი საკრეფათო?!

— ბათუმ და დურუმ მითხრეს, — უთხრა თაიამ და ტირილი წასკდა.

თავმჯდომარემ და ბრიგადირმა ყურს არ დაუჯერეს. დიდხანს ვერ მოაბრუნეს ენა, იდგნენ და გაოცებით უყურებდნენ თაიას.

თაია თავდახრილი იდგა. მკლავით ცრემლს იმშრალებდა.

— წადი შინ, თაია, — უთხრა თავმჯდომარემ. უნდოდა მისულიყო, მკლავი მოეხვია, მაგრამ თავი შეიკავა, — წადი, თაია, —უთხრა ისევ თავმჯდომარემ.

— არ წავალ, ბიძია დათა, — მშვიდად მიუგო თაიამ, ფოთოლი კალათაში ჩაჰყარა და ბუჩქზე დაიხარა.

— თაია, შვილო, — შეეხვეწა ბრიგადირი.

— არ წავალ, დეი, — თავაულებლად უთხრა ბრიგადირს. ისე უთხრა, რომ თავმჯდომარემ და ბრიგადირმა დაინახეს, ძალით თუ წაიყვანდნენ, თორემ თავისით არ წავიდოდა, — არა მიშავს, დეი, ღამე კრეფით არ მოვკვდები.

— რას იტყვიან შენი რგოლის წევრები, რომ გაიგებენ... — თავმჯდომარე მიხვდა, ამის თქმა არ იყო საჭირო და გაჩუმდა.

— რა უნდა თქვან... ახლა სხვებმაც უნდა კრიფონ ღამით.

— რა თქვი?!

— მთელმა რგოლმა უნდა კრიფოს. ბრიგადამაც უნდა კრიფოს.

— გოგო, შენ იცი რა თქვი?!

— რა ვთქვი?

ბრიგადირი თაიასთან მივიდა.

— ერთი კალათი მე მომეცი, შვილო.

— შენ რანაირად, დეი?!

— იმნაირად, როგორც შენ, — უთხრა ჯუნამ და თვითონ შეხსნა კალათი, ფოთოლი მეორე კალათში ჩაუყარა, — ღამე მშვიდობისა, დათა, — უთხრა თავმჯდომარეს.

ცა მთლად გაისარკა. მთელ კაბადონზე აციმციმდა ვარსკვლავები...

ცა მეორე ღამითაც მოსარკული იყო. ვარსკვლავები თითქოს ძირს დაეშვნენო. ჩაის ბუჩქების ფონზე აქა-იქ მკრთალად პარპალებდა ჭრაქის ენები. მესამე დღეს მთელი პლანტაცია ციმციმებდა კიდიდან კიდემდე და ჭრაქების მთრთოლვარე ნათელი ანათებდა მეჩაიეთა სახეებს.

# როგორ ვიზარდეთ

დიდი ოქტომბრის ნათელმა სხივმა ჩვენი სამშობლო უმოკლეს ხანში ძალაგანვითარებული ინდუსტრიის, მოწინავე სოფლის მეურნეობის, ახალი სოციალისტური კულტურის აყვავებულ ქვეყნად გადააქცია.

ექსპლოატაციისაგან, ეროვნული შუღლისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებულმა მუშებმა, გლეხებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, ოდესღაც გაღატაკებულ, აგრარულ ქვეყანას ახალი სული შთაბერეს: აყვავდნენ სოფლები და ქალაქები, მწყობრში ჩადგნენ ინდუსტრიის გიგანტები, შეიქმნა მრავალდარგოვანი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სოფლის მეურნეობა, გაიფურჩქნა ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა.

ერთობლივი ბრძოლა და შრომა, თხუთმეტი თანაბარუფლებიანი რესპუბლიკის მძლე და ძმური კავშირი იყო ჩვენი სწორუპოვარი წინსვლის საწინდარი. სწორედ ხალხთა ლენინური მეგობრობით, ურყევი შეკავშირებით გავიტანეთ ის ღელო, რითაც ახლა ასე ამაყობს კომუნიზმის მშენებელი თითოეული საბჭოთა ადამიანი.

მოდი და ნუ იამაყებ:

● 1976 წელს ჩვენი სამშობლოს ეროვნული შემოსავალი რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით 65-ჯერ გაიზარდა.

● ჩვენი მრეწველობა ახლა დღე-ნახევარში აწარმოებს იმდენ პროდუქციას, რამდენსაც მთელი 1913 წლის მანძილზე აწარმოებდა.

● რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაზე მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 4 პროცენტზე მეტი მოდიოდა, ამჟამად კი მეხუთედი მოდის. საბჭოთა კავშირს მრეწველობის საერთო მოცულობით ევროპაში პირველი და მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს.

● მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან შედარებით, საბჭოთა კავშირი ამჟამად აწარმოებს ყველაზე მეტ თუჯს, ფოლადს, ნავთობს, ქვანახშირს, კოქსს, ცემენტს, ელექტრომავლებს, თბომავლებს, ბამბას, მინერალურ სასუქებს...

● 1913 წელთან შედარებით მრეწველობის მუშების რეალური შემოსავალი 10-ჯერ, ხოლო გლეხებისა 14-ჯერ გაიზარდა.

● საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა 4,4-ჯერ გაიზარდა.

● ვ. ი. ლენინი 100 ათას ტრაქტორზე ოცნებობდა. შარშანდელი წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში მუშაობდა 2.400.000 ტრაქტორი, 690.000 მარცვლეულის ასაღები კომბაინი, 1.402.000 სატვირთო ავტომანქანა...

● 1913 წელთან შედარებით 1976 წელს მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 86 მილიონი ტონიდან 224 მილიონ ტონამდე.

● რევოლუციამდელ რუსეთში მხოლოდ რამდენიმე ათასი მეცნიერი მუშაკი ჰყავდათ. ახლა ჩვენს ქვეყანაში მუშაობს 1,3 მილიონი მეცნიერი მუშაკი.

● საბჭოთა კავშირში მუშაობს 93.000 ბავშვთა ბაღი და ბაგა, 350.000 ბიბლიოთეკა; საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია წიგნების გამოშვებაში, თეატრების, კინოებისა და საკონცერტო დარბაზების რაოდენობაში.

● საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, არნახულ წარმატებებს მიაღწია. მრეწველობის დარგში საქართველო 1913 წელთან შედარებით ახლა 120-ჯერ უფრო მეტ პროდუქციას უშვებს.

● მეათე ხუთწლედში საქართველოს ნაციონალური შემოსავალი 33,2 პროცენტით გაიზრდება.

● საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ საქართველოში ვენახების ფართობი 29.500 ჰექტარს შეადგენდა. მეათე ხუთწლედის დამლევისათვის ვაზის ზვრების საერთო ფართობი 160.000 ჰექტარს მიაღწევს. ყურძნის მოსავალი მალე 800.000 ტონამდე გაიზრდება.

● საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩაის პლანტაციები ჩვენში მხოლოდ 900 ჰექტარზე იყო გაშენებული, 1921 წელს საქართველოში მოიკრიფა 550 ტონა ჩაის ფოთოლი. ჩაის პლანტაციებს ახლა 70.000 ჰექტარი უკავია. ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ჩაის ძირითადი მწარმოებელია.

● რევოლუციამდელ საქართველოში მხოლოდ 40 სასწავლებელი იძლეოდა საშუალო განათლებას. მოსახლეობის 75 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. უკანასკნელი აღწერით საქართველოში 10 წლისა და უფრო მეტი ასაკის ყოველ ათას მცხოვრებზე 73 უმაღლესი, 480 დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლების ადამიანი მოდის.

● უდიდეს წარმატებებს მიაღწია ქართულმა ლიტერატურამ, მუსიკამ, მხატვრობამ, თეატრალურმა ხელოვნებამ, ხალხურმა თვითშემოქმედებამ. ოქტომბრის ნათელი დანათის ჩვენს გამრჯე და ნიჭიერ ხალხს.

# ქართული საბჭოთა პრესის ფურცლებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტი“ 1920 წ. № 1, 3 ივნისი

□

„რუსეთის პროლეტარიატმა აღმართა სოციალისტური რევოლუციის დროშა, დასცა ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოების სახით“.

□

„1917 წლის თებერვლის თვეში დაწყებული რევოლუცია ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გადაიქცა სოციალისტურ რევოლუციად, რომელიც თავის მხრივ გახდა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის კერად. მთელმა ბურჟუაზიულმა ქვეყანამ, როგორც შიგნიდან, ისე გარედან სასტიკი და დაუზოგველი ომი გამოუცხადეს სოციალისტურ რუსეთს. ამ უდიდეს სამოქალაქო ომის დროს თითქმის ყველა წვრილბურჟუაზიულმა, მუდამ მერყევმა პარტიებმა (სოციალდემოკრატებმა — მენშევიკებმა, ესერებმა, და სხ.) კონტრევოლუციონურ ბურჟუაზიას მხარი დაუჭირეს. დასახელებულმა პარტიებმა, ყოველივე სინამდვილის წინააღმდეგ, 1917 წელს რუსეთში დაწყებული რევოლუცია ბურჟუაზიულ რევოლუციად გამოაცხადეს, ე. ი. ისეთ რევოლუციად, რომელსაც შედეგად ბურჟუაზიული კლასის და ბურჟუაზიული წესწყობილების განმტკიცება-გამაგრება უნდა მოჰყოლოდა, ისინი წავიდნენ მუშათა კლასის, სოციალისტური პროლეტარიატის და რევოლუციონერი გლეხობის არსებითი ინტერესების წინააღმდეგ და შეიქნენ კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესების დამცველები“...

□

„„ქართველი მენშევიკები დარწმუნებული იყვნენ და სცდილობდნენ სხვებიც დაერწმუნებინათ იმაში, რომ დღევანდელი რევოლუციიდან მხოლოდ ბურჟუაზია უნდა გამოსულიყო გამარჯვებული, და ამის კვალობაზე აწყობდნენ ისინი მთელ თავის ტაქტიკას, რუსეთის დიდი რევოლუცია იმათ პირდაპირ დამარცხებულად სცნეს. სოციალისტურ, მუშებისა და გლეხების რუსეთს ზურგი შეაქციეს, და იმავე დროს, ვინაიდგან დამოუკიდებელი თვითარსებობისათვის უძლურნი იყვნენ, დახმარებისთვის იმპერიალისტურ ქვეყნებს მიმართეს“.

□

... მაგრამ საბედნიეროდ არ გამართლდა არც იმპერიალისტურ მჩაგვრელების და არც ქართველი მენშევიკების მოლოდინი. საბჭოთა მთავრობამ რუსეთში გაიმარჯვა“.

□

„და აი ჩვენ გავიმარჯვეთ „მოვხსენით“ აღმოსავლეთის ფრონტი. „მოვხსენით“ ჩრდილოეთის ფრონტი და თითქმის მთლად „მოვხსენით“ სამხრეთის ფრონტი. ერთი ზამთრის განმავლობაში ოთხი გენერალი დავმარხეთ“, ოთხი თეთრი არმია შევმუსრეთ“.

□

„ჩვენმა შაბათობით მომუშავეებმა თავბრუდამხვევი შთაბეჭდილება მოახდინეს ევროპაზე. გაზეთები „ტაიმსი“, და „ტანი“ — ეს მთელ ქვეყანაზე ყველაზე სერიოზული და შინაარსიანი გაზეთები რაღაც სასოწარკვეთილი... რაღაც სალმრთო ძრწოლით ლაპარაკობენ ჩვენს შაბათობით მომუშავეებზე. „ბოლშევიკებს ის მოეპოვებათ, რაც მთელ ქვეყანაზე არსად არის:

შრომა და შემოქმედების თავისუფლება. და აი თავზარდაცემული ევროპელ-ამერიკელი ბურჟუა უკვე ხედავს, როგორ იპყრობს შრომისა და შემოქმედების ეს ენთუზიაზმი მთელი ქვეყანას“.

„კომუნისტი“ 1920 წ. 4 ივნისი

□

„საბჭოთა რუსეთი, როგორც მუშათა კლასის უდიდესი სახელმწიფო მთელ მსოფლიოში შეიქმნა უძლიერესი ფაქტორი მთელ ისტორიაში.“

## ოქტომბრის წინამორბედნი

გასული საუკუნის დასასრულს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს საქართველოს, ვაზს გაუჩნდა საშინელი სენი — ფილოქსერა.

ფეხზე დადგა დიდი და პატარა, შინაური თუ გარეული... მაგრამ არ იქნა და იმ ერთი ციცქნა ჭიის მძლევი არავინ აღმოჩნდა. ეგ კი არა, იმერეთში იმდენად გაჩანაგდა ვენახები, რომ რუსთ ხელმწიფემ მათი აჩეხვა და ნაცვლად სხვა კულტურების გაშენება განიზრახა.

გლოვის ზარი იდგა იმერეთში.

და აი, ამ ტრაგიკულ დროს გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც სახოწარკვეთის უკუნეთი ნათელი შუქით გაანათა. ახალგაზრდა აგრონომმა, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკიმ, მრავალი ცდისა და დაკვირვების შედეგად მიზანს მიაღწია. მან ვადაგვიხატა დავით კლდიაშვილმა შემოდგომის აზნაურების სახით.

სხვათა შორის, აი, რას წერს დავით კლდიაშვილი ვლადიმერ სტაროსელსკის შესახებ: „მას ჰქონდა მინდობილი ფილოქსერასთან ბრძოლის წარმოება, რასაც იგი აწარმოებდა დაუღალავად, ცოდნით და გულწრფელად, რის გამო დიდად ხელი შეუწყო განადგურებული მევენახეობის აღორძინებას. მასთან მუშაობდა დიდძალი ხალხი, გარს შემოხვეული ჰყავდა ახალგაზრდობა, რომელიც მუშაობაში განვითარების გარდა ვითარდებოდა გონებრივადაც...

— უნდა ვესტუმრო სტაროსელსკის, — მითხრა ერთხელ ჩემმა მეზობელმა ილომ, — უნდა ვესტუმრო. ვიცი, ისე მიმიღებს, თითქოს თავის ძმას!

ძვირფასი ის იყო, რომ ეს კაცი გულწრფელად



# ამხანაგი გუბერნატორი

ზის ადგილობრივი ჯიშები ამერიკულ საძირეზე დაამყნო და ამით დაამარცხა ფილოქსერა.

ნელა, თანდათან ირწმუნა ხალხმა სტაროსელსკის სიკეთე. აგერ, ერთგან იხარა ვაზმა, მეორეგან!..

თავად ადამიანიც რომ ღვთისნიერი ყოფილა ეს სტაროსელსკი! ბიჭოს, ქართულიც უსწავლია. დახე, ქართულად ესაუბრება გლეხებს!..

1890 წლიდან 1905 წლამდე აგრონომი სტაროსელსკი თავს დასტრიალებდა იმერეთის ვენახებს. მის მიერ დაარსებული საქარის საცდელი სადგური, სპეციალური კურსები, სკოლა, მრავალი საყრდენი პუნქტი და სხვა. იყო ის მძლავრი კერა, სადაც იმერეთის მშრომელი მოსახლეობა ფილოქსერას წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს ეუფლებოდა. ამასაც არ სჯერდებოდა სტაროსელსკი, იგი თვითონ, თავისი ფეხით დადიოდა სოფელ-სოფელ, ასწავლიდა, არიგებდა, ურჩევდა და ამხნევებდა გლეხობას.

დიდად განათლებული პიროვნება, ვლადიმერ სტაროსელსკი მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ, მას ეკუთვნის მეტად საყურადღებო გამოკვლევები საქართველოს ისტორიისა და ეკონომიკის დარგში.

ერთ-ერთ ნაშრომში, ამ საუკუნის დასაწყისის ქართველ თავად-აზნაურობას იგი უალრესად ზუსტად უწოდებს თავადაზნაურულ პროლეტარიატს. ეს სწორედ ის თავადაზნაურული პროლეტარიატია, რომლის ერთი ნაწილი ასე ბრწყინვალედ ემსახურებოდა ხალხს და მის სასიკეთოდ იყო განწყობილი".

დადგა 1905 წელი. უზარმაზარი იმპერია — „ხალხთა საპყრობილე" ცეცხლის ალში გაეხვია. განსაკუთრებით ბობოქრობდა ქუთაისის გუბერნია. აქ მეფის მთავრობა იძულებული გახდა ცეცხლი და მახვილი დაუყოვნებით შეეცვალა... და აი, უეცრად ლასათვის მოულოდნელად ქუთაისის გუბერნატორის პოსტი შესთავაზეს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის. მხოლოდ სოციალ-დემოკრატთა (ბოლშევიკების) რჩევის შემდეგ გადაწყვიტა სტაროსელსკიმ შეთავაზებული პოსტის დაკავება, მაგრამ ერთი პირობით, თუ მთავრობა მიიღებდა მის პროექტს გუბერნიის მართვის შესახებ. ამ პროექტის გამო კი თვით ბოლშევიკებმა განაცხადეს, მისი შემდგენელი უფრო ციხეში მოხვდება, ვიდრე გუბერნატორად დაინიშნება, რადგან მაგის მეტს კი არაფერს მოვითხოვთ, ჩვენ, ბოლშევიკებიო.

აი, სტაროსელსკის პროექტის ძირითადი დებულებანი: მშობლიური ენის თავისუფლება, ეროვნული თვითგამორკვევის თავისუფლება, მთელი სოციალური წყობის სრული გარდაქმნა, ყველა მიწის მშრომელთა ხელში გადაცემა, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება, შეკრების, მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვების თავისუფლება.

დღესაც არ არის გარკვეული ბოლომდე, როგორ მოაწერა ხელი ამ რევოლუციურ დოკუმენტს მეფისნაცვალმა — შეცდა, მოტყუვდა, თუ სხვა მიზეზის გამო.

ხანწაულები ხდებოდა ქუთაისის გუბერნიაში.

ქუთაისში, შუაგულ ქალაქში, გამართულ მიტინგზე აღმართეს წითელი დროშები. სტაროსელსკიმ განკარგულება გასცა, პოლიციას ხელი არ შეეშალა მიტინგისათვის. რევოლუციონერებმა პოლიცმეისტერს წითელ დროშაზე აკოცნინეს. დროშაზე ეწერა: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს რესპუბლიკას!" ამის შემყურე სტაროსელსკიმ შესძახა: „ბრავო, ბრავო!"

გუბერნატორი სტაროსელსკი მეფისნაცვალს მოახსენებდა, რომ ქალაქში წესრიგის დაცვა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებსაც მოსახლეობა ენდობა და თვითონ ირჩევს, ეს სამოცი კაცი შეიარაღდება რევოლვერებითა და ხმლებით. მოგვიანებით, 1910 წელს, ამის გამო რუსეთის ერთი ჟურნალი წერდა: „სინამდვილეში ეს „არჩევითი" და „რომლებსაც მოსახლეობა ენდობა" სამოცი კაცი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი მებრძოლი „წითელი ასეულის" წევრი იყო. კურიოზული ამბავი ხდებოდა გუბერნატორ სტაროსელსკის შეხვედრისას ამ წესების დამცველებთან, ჯერ დამცველი გუბერნატორს სამხედრო წესით ესალმებოდა და შემდეგ ქართულად შეხძახებდა: „გამარჯობა, ლადო!".. პოლიციის მაგიერ თავისი მებრძოლები, გუბერნატორი — „ამხანაგი", სამხედრო მდგომარეობა მოხსნილია, მასებისა და მოწინავე ინტელიგენციის თანაგრძნობა რევოლუციის მხარეზეა. ეს განა ხელსაყრელი მომენტი არაა? და რევოლუციონერებმა იგი გამოიყენეს: ქუთაისის ქუჩებში გაჩნდა მთელს კავკასიაში პირველი ბარიკადები!"

ყოველივე ამის შემყურე კავკასიის პოლიციის უფროსი გაოგნებული მოახსენებდა მეფისნაცვალს: „ქუთაისის გუბერნიაში... შეიქმნა რაღაც განსაკუთრებული სახელმწიფო, რომელიც თვითმმართველი რევოლუციური თემებისაგან შედგება. ის, რაც ქუთაისის გუბერნიაში ხდება, იმდენად განსაცვიფრებელია იმპერიის სახელმწიფო წყობილების საერთო ფონზე, რომ უცხოელები საგანგებოდ ჩამოდიან კავკასიაში, რათა ადგილზე გაეცნონ რუსეთის სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმებს".

შავი რეაქციის სისხლიან დღეებში ვლადიმერ სტაროსელსკი მხურვალე აგიტაციას ეწეოდა აღმოდებული საქართველოს დასაცავად: „გესმით, თქვენ, რუსო მოქალაქენო, მსხვერპლთა გმინვა, გმინვა მათი ქმრების, მამებისა, ძმების! იცით თქვენ, რისთვის უწიათ უბედურებს ულმობელმა სასჯელმა?

იმისათვის, რომ ქართველები შეგნებულად და განუზრელად, თავდაუზოგავად იღწვოდნენ თავისუფლების მოსაპოვებლად! იმისათვის რომ... ისინი მოითხოვდნენ თავისუფლებას მთელი რუსეთისათვის. ხმა აღიმაღლეთ რუსეთის მოქალაქენო! თქვენი ძმები, ქართველები სამართლიანად მოელიან თქვენს თანაგრძნობას... ნუ მიაყენებთ მათ ახალ სატანჯველს — იმედგაცრუებას ძმურ გრძნობებში, თორემ ამის გადამტანნი ისინი ზურგს შეგაქცევენ.

დუმილი ყველაფერზე საშინელია!

მხეცური ხოცვა-ჟლეტა საქართველოში აუცილებლობით არ იყო გამოწვეული.

რისთვის ეს ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა? რისთვის?

გამოეხმაურეთ, რუსეთის მოქალაქენო, თქვით თქვენი სიტყვა!"..

სტაროსელსკის რევოლუციური მოღვაწეობით აღშფოთებულმა ნიკოლოზ მეორემ სასტიკი განაჩენი გამოუტანა მას: „ჩემს მიერ მიღებული ყველა ცნობის თანახმად იგი ნამდვილი რევოლუციონერია, რომელსაც იმ პარტიასთან (ბოლშევიკებთან) აშკარა და დაუფარავი ურთიერთობა აქვს. ჭეშმარიტად მისი ადგილი... კარგ ტირიფზეა!.. ბევრისთვის ჭკუის სასწავლებელი მაგალითი იქნებოდა".

რუსეთში სასიკვდილოდ განწირული სტაროსელსკი ემიგრაციაში, პარიზში განაგრძობს ბრძოლას.

ცარიზმის ერთგული დამქაშები წამდაუწუმ ბოლმით მოახსენებდნენ პატრონს თუ როდის, სად, რამდენჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ბოლშევიკი ემიგრანტები, ვინ რა თქვა, რა წაიკითხა. ახეთ ცნობებში სხვა გამოჩენილ რევოლუციონერებთან და თვით ვლადიმერ ლენინთან ერთად არაერთხელ იხსენიება სტაროსელსკის სახელიც.

ლენინი მას ახლოს იცნობდა, ხშირად ხვდებოდა, ძალზე აფასებდა და დიდ პატივს სცემდაო, გადმოგვცემს ლუნაჩარსკი.

„პარიზში, უკანასკნელ ხანებში, — საიდუმლოდ ატყობინებდა პატრონს მსტოვარი, — ცნობილმა სტაროსელსკიმ, ყოფილმა ქუთაისის გუბერნატორმა წაიკითხა სამი რეფერატი: პირველი ორი მათგანი უმთავრესად საქართველოს განვითარების ისტორიას მიუძღვნა, მესამეში კი სტაროსელსკი მხოლოდ რესპუბლიკის შესახებ ლაპარაკობდა, რომლის პრეზიდენტიც თავად ბრძანდებოდა შვიდი თვის განმავლობაში".

სამშობლოდან გადახვეწილი სტაროსელსკი დიდ სიღუხჭირეში ჩავარდა, მძიმედ დაავადდა, მაგრამ საქართველოზე ფიქრი და ზრუნვა მას მაინც არ შეუწყვეტია.

„ჩემმა სამუშაომ, — წერდა იგი, — სექტემბჯბოდ ჩამოდიან კავკასიაში, რათა ადგილზე გაეცნონ რუსეთის სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმებს".

„წითელი გუბერნატორი", „გუბერნატორი რევოლუციონერი", — ასე უწოდებდნენ ვლადიმერ სტაროსელსკის, ერთნი ზიზღით და შიშით, მეორენი — სიამაყით და სიყვარულით.

„ამხანაგი გუბერნატორი", — ასე უწოდა სტაროსელსკის ლენინმა.

სტაროსელსკი აჯანყებულებს აწვდიდა იარაღს, ტყვია-წამალს, ფულს, უბეჭდავდა პროკლამაციებს, თავგზას უბნევდა დამსჯელ რაზმებს, ატუსაღებდა ჟანდარმებს. სიტყვითა და საქმით, სულითა და გულით ამხნევებდა რევოლუციონერებს; იგი თვითონ იყო უშიშარი რევოლუციონერი, მშრომელთა საქმისათვის თავდადებული გმირი.

სხვათა შორის, სტაროსელსკის მოღვაწეობას დიდად შეუწყო ხელი იმანაც, რომ მის დროს ვიცე-გუბერნატორად იყო მისი ერთგული თანამებრძოლი ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი.

დასმენისა და ჯაშუშობის „წყალობით" სტაროსელსკი 1906 წლის დასაწყისში გადაყენებულ იქნა გუბერნატორობიდან. მასთან ერთად გადააყენეს ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძეც.

მალე სტაროსელსკი ბოლშევიკების პარტიაში შევიდა და არჩეულ იქნა პარტიის უბნის კომიტეტის თავმჯდომარედ.

რის განმავლობაში ნაკლებად, ვიდრე მოველოდი, წაიწია წინ;. მიზეზი ამისა სახის ძლიერი ნევრალგიაა, რამაც ექიმების ენერგიული ჩარევის შედეგად უკან დაიხია. ტკივილები ახლაც მაქვს, მაგრამ ვმუშაობ, რათა გაცდენილი დრო ამოვიგო.

დავამთავრე: 1. საქართველოს ისტორიის საერთო მიმოხილვა... 2. XVII-XVIII ს. ს. საქართველოს დახასიათება...

მოვამზადე, ე. ი. დავამუშავე მასალები მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ, ქუთაისისა და ნაწილობრივ თბილისის გუბერნიებში საგლეხო რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ".

მხოლოდ ჭეშმარიტად დიდ ადამიანს შეეძლო ასეთი გმირობის ჩადენა!

მძიმე ავადმყოფი სტაროსელსკი გარდაიცვალა პარიზში 1916 წლის 26 აგვისტოს, დასაფლავებულია იქვე, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. მის გარდაცვალებას ნეკროლოგები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გაზეთებმა უძღვნეს.

განსაკუთრებით მწუხარებით დაიტირა საოცარი ადამიანი ქართველმა ერმა, იმ ერმა, რომლის გულისთვისაც მეფის მოხელემ, გუბერნატორმა, თავისი ნებით აიღო ხელი ფუფუნებასა და განცხრომაზე და ყველაფერი — კარიერა, ოჯახი, ჯანმრთელობა და თვით სიცოცხლე, საქართველოს ბედნიერებისათვის ბრძოლას შესწირა.

**ზურაბ რატიანი**



## ტიციან ტაბიძის უცნობი წერილი

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დიდი ხანია აღარ გამოჩენილა მიხაკით გულდამშვენებული მისი კოლორიტული ფიგურა... მას სულზე მეტად უყვარდა მშობლიური ქალაქი; თბილისში გავლა შთაგონებას მატებდა. 30-იანი წლების ლიტერატორებს, უნივერსიტეტიდან ახლანდელ ლენინის მოედნამდე ფეხით მოსიარულეთ, ხშირად გვინახავს პოეტი თავაწეული რომ მიაბიჯებდა გამვლელთ და გამომცემლობისაკენ მიიჩქაროდა.

ტიციანს ხშირად ვხვდებოდი, საერთო საქმეშიც ხშირად მიგვიღია მონაწილეობა და მეხსიერებაში არაერთი საგულისხმო მოგონება შემომრჩა.

ამას წინათ მტვერწაყრილ არქივს ვათვალიერებდი. მრავალ სახსოვარს შორის ტიციანის ხელით ჩაწიკწიკებული ბარათი ვიპოვე. კეთილი გულით დაწერილმა სტრიქონებმა ლენინგრადში ყოფნის წლები თავიდან განმაცდევინა...

ტიციან ტაბიძე ნათელი და ღრმა გრძნობის პოეტი იყო. მისი ლექსი და საუბარი, საჯარო გამოსვლა მუდამ ლირიკის ემბაზში იყო ამოვლებული. გულწრფელობა, უშუალობა, მაღალი კულტურა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული მასში საოცრად იყო შერწყმული; იგი ადვილად ამყარებდა კავშირს ადამიანებთან. არ მეგულება პიროვნება, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ტიციანს და იგი დაევიწყებინოს.

მე ბედნიერება მქონდა ტიციან ტაბიძესთან ერთად ერთი კვირა ვყოფილიყავი ცხინვალში სამხრეთ ოსეთის მწერალთა ყრილობის მოსამზადებლად ახალი ქართული ლექსის ერთ-ერთმა რეფორმატორმა იმ დღეებს საგანგებო ნარკვევი უძღვნა: „ერთი კვირა ოსეთში". ტიციანი წერდა: „მე და მიხ. ჩიქოვანს დავალებული გვქონდა ამ დელეგაციის ავტოდორობა — უნდა წინასწარ ჩავსულიყავით და მოგვემზადებინა ნიადაგი საქართველოს საბჭოთა მწერლების დასახვედრად".

ყრილობა სახელოვნად ჩატარდა. იმ სამახსოვრო კვირის განმავლობაში ერთ ოთახში ვცხოვრობდით ლიახვის პირას პატარა სასტუმროში. ყველგან და ყოველთვის იგრძნობოდა, ტიციანი მთელი არსებით პოეზიას, სიტყვის ხელოვნებას რომ ეკუთვნოდა. ლიახვის პირას გატარებულმა ღამეებმა უფრო დამაახლოვა, მართლაცდა, მეწყერივით მოვარდნილ ადამიანთან.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თბილისის უნივერსიტეტმა ასპირანტურის კურსის დასამთავრებლად ლენინგრადში გამგზავნა. მუშაობა დავიწყე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში; სხვადასხვა დისციპლინებს ვისმენდი ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და პარალელურად ვეცნობოდი ძველ ქართულ ხელნაწერებს იქაურ სიძველეთსაცავებში.

ლენინგრადში პირველად ვიყავი. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ქალაქმა, ისე იქ დამკვიდრებულმა სამეცნიერო ტრადიციებმა. ჩრდილოეთის სიკეთე ქართველ მოღვაწეებზე ოდითგანვე ღრმა კვალს ტოვებდა. ასეთ ვითარებაში ადამიანს ყოველთვის უჩნდება მოთხოვნილება სათქმელი მახლობელს გაუზიაროს. და აი, პირველი შთაბეჭდილება ტიციან ტაბიძეს გავუზიარე. მართალია, პოეტი ჩემზე თხუთმეტი წლით უფროსი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საქმიანი მიწერ-მოწერისათვის.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესოა, თუ რას ურჩევდა გამოჩენილი პოეტი უმცროს ამხანაგს.

«ტფილისი
10 დეკემბერი
1934 წ.

ძვირფასო ძმაო მიხეილ!

არ ვიყავი ტფილისში და თქვენი წერილი დაგვიანებით მივიღე. მართალი გითხრათ, ძალიან გამეხარდა. ვიგრძენი ლენინგრადის ნისლი, ჩემი სტუდენტობა და საერთოდ საქართველოდან შორს ყოფნა — უფრო კიდევ თქვენი პატიოსანი და აღფრთოვანებული გული. ასეთ წერილზე მადლობაც ზედმეტია, ეს არის, ადამიანის საკუთარი ბიოგრაფია და კეთილშობილება. სხვა ძმაო მიხეილ, ტფილისში არაფერია ისეთი, რომ კაცს გული დაეწყდეს —არის გაუთავებელი დისკუსიები რუსთაველზე და ერთმანეთს აბითურებენ. ასე, რომ მაინც და მაინც თუ შესაძლებლობა გაქვს, მანდ კარგად მოიცადე: ყოველი ზედმეტი დღე და თვე ლენინგრადში, ვისაც სწავლა და მეცადინეობა უნდა, მოგებულია. — არავითარი დავიდარაბა და კინკლაობა: არის მხოლოდ ყოვლის დამტევი ცოდნა და შთაბეჭდილება. თუ საჭირო იქნეს, მომწერე და მოველაპარაკები უნივერსიტეტის რექტორს ლეო აღნიაშვილს, თქვენი წერილი, როგორც მითხრა გოგლა ლეონიძემ, მიდის „ლიტ. მემკვიდრეობაში". ლევანთან ვნახე კიდეც კორექტურები.

ეხლა, ჩემო მიხეილ, მანდ ლენინგრადში გამოდის რუსულად ქართველი რომანტიკოსები: ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და ალექს. ჭავჭავაძე; Ленинградское Издательство писателей — ხელმძღვანელობს გრიგოლ იმმანუილის ძე სოროკინი ტექნიკურად, — ისე ტინიანოვი და ტიხონოვი. რედაქციას მე მივწერე თქვენი მისამართი და თუ მოგმართავს თქვენ დაეხმარეთ, გასამჯელოს მანდ გაიღებენ, თუ ასეც არ იყოს, მე შევეცდები ტფილისიდან მოვახერხო — მხოლოდ თქვენ თვალი იქონიეთ და საჭირო დახმარება აღმოუჩინეთ. მალე ალბათ მეც გავჩნდები ლენინგრადში. ეხლა კი სამუშაოთი ვარ დატვირთული და ერთი თვით მივდივარ მახინჯაურში. წერილებს თუ გამომიგზავნით, ტფილისის მისამართით მომწერეთ და ბათუმში სახლიდან გამომიგზავნიან. თქვენი ერთგული და მეგობარი

ტიციან ტაბიძე».

ამ ბარათის დაწერიდან ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა.

**მიხეილ ჩიქოვანი**



# ფაუნის მოყვარულთა კლუბი



1942 წლის ზაფხული იდგა. გერმანელმა ფაშისტებმა ინგლისის წყალქვეშა ნავი აღმოაჩინეს და ტორპედოები დაუშინეს. ნავის ეკიპაჟმა მოასწრო, რომ სარდლობისათვის რადიოთი შეეტყობინებინა თავისი ადგილმდებარეობა. წყალქვეშა ნავმა ფსკერზე ჩაყვინთა, რათა გერმანელთა შეტევის დასასრულს დალოდებოდა. როცა წყლის ზედაპირზე ამოსვლის დრო დადგა, გამოირკვა, რომ წყალქვეშა ნავს საჭე და ზედაპირზე ამოსვლის მექანიზმი დაზიანებოდა. წყალქვეშა დინებამ წართვადაკარგულ ხომალდს ადგილმდებარეობა შეუცვალა. იგი გაურკვეველი მიმართულებით აგრძელებდა დრეიფს ოკეანის სიღრმეში. წყალქვეშა ნავის დასახმარებლად გაგზავნილი ესკადრა ხელცარიელი დაბრუნდა. წყლის სიღრმეში რადიოკავშირი არ მუშაობდა, მთელი ეკიპაჟი სასიკვდილოდ იყო განწირული. რჩებოდა კავშირის უკანასკნელი შესაძლებლობა: ნავზე ორი საფოსტო მტრედი ჰყავდათ. ისინი სპეციალურ კაპსულში მოათავსეს და სატორპედო აპარატით წყლის ზემოთ ამოისროლეს. ახლა საჭირო იყო გულისგამაწვრილებელი ლოდინი. დახმარება მეორე დღესვე მოვიდა. მეზღვაურთა მშველელი აღმოჩნდა დედალი მტრედი, რომელმაც გადალახა რამოდენიმე ასეული კილომეტრი აბობოქრებულ ოკეანეზე და ბაზაში მიიტანა წყალქვეშა ნავის დაახლოებითი კოორდინატების ნუსხა.

ამ თავდადებისათვის მტრედი დააჯილდოეს დიდი ბრიტანეთის სპეციალური ჯილდოთი: მას ბრინჯაოს ძეგლი დაუდგეს და გადარჩენილი ნავის ეკიპაჟის მუდმივ სიაში ჩარიცხეს.

მოლულუნე მტრედმა ადამიანები იხსნა თითქმის გარდაუვალი სიკვდილისაგან; დედას შვილი დაუბრუნდა, ბავშვებს — მამა, სამშობლოს ჯარისკაცები...

უძველეს ლეგენდას „ნოეს კიდობნის შესახებ" თუ ღვთაებრივ სამოსს ჩამოვაშორებთ, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის კავშირი ცხოველებთან და ფრინველებთან შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ეს ტრადიცია დღესაც მტკიცედ არის დამკვიდრებული და მეტად საჭირო და სასარგებლო შედეგებს გვაძლევს.

საქართველოში არსებობს ფაუნის მოყვარულთა რესპუბლიკური კლუბი. იგი ბუნების დაცვის კლუბის პრეზიდიუმთანაა ჩამოყალიბებული და 600-მდე მოყვარულს აერთიანებს. ამ ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრები არიან ზეინკლები, ინჟინრები, ექიმები, პროფესორები, სტუდენტები...

კლუბში არის სხვადასხვა სექციები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ თავიანთი საქმის დიდი ენთუზიასტები.

ერთ-ერთი ასეთი სექცია დეკორატიულ მგალობელ ფრინველებს აერთიანებს.

არის აკვარიუმისტების სექციაც. აქ თავმოყრილია როგორც თბილი, ასევე ცივი წყლის ეგზოტიკური თევზები, სხვადასხვა სახის წყალმცენარეები.

მესამე სექცია მტრედების მოყვარულებს აერთიანებს. სექციაში ნახავთ როგორც საფოსტო, ასევე დეკორატიულ და სხვა სახეობათა უამრავ მტრედებს

დეკორატიულ-სპორტული ძაღლების სექცია უძველესი სექციაა საქართველოში. სექციაში ყველაზე უფრო გავრცელებული ჯიშებია: დობერმან-პინჩერი, დოგი, ბოქსიორი და სხვა სახეობის ძაღლები.

ფაუნის მოყვარულთა რესპუბლიკური კლუბი



არსებობის ორ წელს ითვლის. საგამოფენო დარბაზში ხშირად იკრიბებიან კლუბის გამგეობის წევრები, აქტივისტები: პავლე მაღლაკელიძე, ეთერ ნუცუბიძე, თინა მაჰავარიანი, ბორის გალა, მიხეილ მეზუროვი, ვლადიმერ გელაშვილი, თეიმურაზ მესხელიშვილი... ისინი საქმიანად ბჭობენ სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, სახავენ სამოქმედო გეგმებს.

კლუბის არსებობის განმავლობაში ხუთი გამოფენა მოეწყო. განსაკუთრებით საინტერესო იყო პირველი რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც ამას წინათ გაიმართა საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე.

გამოფენა თერთმეტ ათასამდე მაყურებელმა დაათვალიერა. გამარჯვებულ ცხოველთა და ფრინველთა პატრონებს გადაეცათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, სპეციალური დიპლომები; ბუნების დაცვის პრეზიდიუმმა გამარჯვებულთათვის ფულადი ჯილდოებიც გამოყო.

ფაუნის მოყვარულთა კლუბის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია, რაც შეიძლება მეტი მოყვარული ჩააბას ამ საზოგადოების სასარგებლო საქმიანობაში.

ჩვენი რესპუბლიკის ფაუნის მოყვარულები [illegible] მიიღებენ მონაწილეობას საკავშირო მასშტაბით მოწყობილ შეჯიბრებებში და გამოფენა-კონკურსებში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საფოსტო მტრედების შეჯიბრებას დიდ მანძილზე (500-2000 კმ) ფრენაში.

ამჟამად კლუბის წევრები ემზადებიან ახალი გამოფენისათვის, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო დღეებში გაიხსნება.

ფაუნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება ბუნების დაცვის მუზეუმში წარმართავს თავის მუშაობას. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარებას. სასურველი იქნება მათთვის გამოიყოს რომელიმე სკვერი. ეს, ვფიქრობთ, დიდად შეუწყობს ხელს როგორც აქტივისტების მუშაობას, ისე მსურველთა საქმიანობას.

ცხოველთა და ფრინველთა სამყარო ალამაზებს ბუნებას. მათი მეგობრობა ადამიანებთან კიდევ უფრო გაამდიდრებს ფაუნის მატიანეს.

ნუნუ კუპრეიშვილი



- მომღერალი კანარის ჩიტი.
- „ნიუფაუნდლენდის" ჯიშის ძაღლი. (თ. წილოსანის საკუთრება).
- შოტლანდიური ქოფაკი „კოლი" (ი. ტაბუევის საკუთრება).
- ნ. ნანეიშვილი თუთიყუშებით.

ვ. ჯეირანელის ფოტო.

# ფენომენი

იუმორისტული მოთხრობა

თენგიზ პირველი

— მოდის!.. — კოლორატურული სოპრანოთი შეჰყვირა დეკორაციული და გრეხილი ავეჯის საამქროს უფროსმა ტატიანა ფილიპოვნამ.

— ალბათ დღესაც 8 საათამდე გააგრძელებს თათბირს, ეგ ოჯახქორი,— ღვარძლიანად ჩაილაპარაკა სინთეტიკური სათამაშოების ფაბრიკის დირექტორმა დონარა პავლოვნამ და რუსთაველის თეატრში ხიმწრით ნაშოვნი „კავკასიური ცარცის წრის" ბილეთები ბოღმით დაჭმუჭნა.

— ნეტავი ვინ არის ის ცელქთმიანი მამაკაცი, ჩვენს უფროსს რომ მოჰყვება? ალბათ, ტრესტიდან გვესწრება, — საკუთარ თავს თვითონვე გასცა პასუხი მინანქრული ჩაიდნების ქარხნის დირექტორმა ქეთევან ვეფხოვნამ.

ყველამ პირი დერეფნისაკენ იბრუნა.

სამმართველოს უფროსი და ცელქთმიანი მამაკაცი დინჯი ნაბიჯით მოუახლოვდნენ და ქედმაღლურად მიესალმნენ შეკრებილთ.

თათბირი მალე დაიწყო.

პირველი სიტყვა, როგორც ყოველთვის, ფერადი ფილებისა და საიაზანი ფილაქნების კომბინატის დირექტორმა, გამბედაობითა და დაპირებებით სახელგანთქმულმა ტრიფონ დავითიჩმა აიღო.

— ჩვენს წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანები.. — რიხით დაიწყო მან. ვიცოდი, ტრიფონ დავითიჩი მალე კადრების დენადობაზე დაიწყებდა ლაპარაკს, უსაფრთხოების ტექნიკის საკითხს თავს აარიდებდა და პირობას დადებდა, რომ გეგმას გადაჭარბებით — 14%-ით შეასრულებდა. ამ ფიქრებიდან დავითიჩის არასწორად წარმოთქმულმა სიტყვამ — „მაოფიკაციამ" გამომიყვანა.

— მაოფიკაცია კი არა, გრატიფიკაცია! — ხმადაბლა შევუსწორე ორატორს შეცდომა და შვებით ამოვისუნთქე.

ცელქთმიანი მამაკაცის მახვილ სმენას არ გამოპარვია ჩემი რეპლიკა.

მომდევნო სიტყვა ქამანური ჭურჭლის სარეალიზაციო კანტორის უფროსმა ვარვარა ვარლამოვნამ აიღო. ვიცოდი, რომ ვარლამოვნა მხრებზე ჩამოშლილ დალალებს შეისწორებდა, ხელოვნურ წამწამებს ააფახულებდა, ხელჩანთიდან წინასწარ შედგენილ დეფიციტური მასალის მოთხოვნილების სიას ამოიღებდა და წუწუნს მოჰყვებოდა; მაგრამ რატომღაც. ახე არ მოხდა — ორატორმა სეიკოს საათი შეისწორა და დაიწყო:

— ახალი რაციონალური მეთოდების დანერგვით, ჭურჭლის მსხვრევის საშუალო კოეფიციენტი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შევამცირეთ, — ტრაბახობდა იგი. — ხოლო გასული წლის საბალანსო მონაცემებს თუ გადავხედავთ, მსხვრევის კოეფიციენტი 12%-მდე დავიყვანეთ. ეს, რა თქმა უნდა, ამხანაგებო, მარტო ჩემი კი არა, მთელი კოლექტივის დიდი გამარჯვებაა!...

ვეღარ მოვითმინე, სკამიდან წამოვხტი და აღელვებით მივმართე: — შეგეძლოთ მსხვრევის საშუალო კოეფიციენტი მინიმუმამდე, ანუ 4%-მდე დაგეყვანათ; ამისათვის საჭირო იყო მალმტვრევადი საქონლის სწორი ტრანსპორტირება, ჭურჭლის ორმხრივი დინამიური შეფუთვა, რაც ხელს შეუშლიდა ვიბრაციული ხახუნით გამოწვეულ მსხვრევა-მტვრევადობას. ასე რომ მოქცეულიყავით, გაიზრდებოდა შრომისნაყოფიერება, დაიზოგებოდა ათასობით მანეთი და თქვენს მიერ პრემიების სახით გაცემული ოთხმოცი მანეთის ნაცვლად თითოეული თანამშრომელი საშუალოდ ოთხმოცდაერთ მანეთსა და თოთხმეტ შაურს მიიღებდა!

ცელქთმიანი მამაკაცი გაკვირვებით მისმენდა: აშკარად ვგრძნობდი, იგი ჩემს მიმართ პატივისცემით და სიმპათიით იმსჭვალებოდა.

მომდევნო სიტყვებში გამოსულმა ორატორებმა ვრცლად ილაპარაკეს შიდარეზერვების გამოყენებაზე. ხარისხის გაუმჯობესებაზე. ეფექტიანობაზე. გეგმის შესრულების სარგებლობაზე, მიწერების მავნებლობაზე და მთელ რიგ სხვა მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხებზე.

როგორც ყოველთვის, ინტენსიურად ვერეოდი მათ საქმიან საუბრებში და უკომპრომისოდ ვუსწორებდი ამა თუ იმ დაშვებულ შეცდომას. ბოლოს ჩემი ერუდიციით აღფრთოვანებულმა ცელქთმიანმა მამაკაცმა თავი ვეღარ შეიკავა, წამოხტა, მომიახლოვდა და ღიმილით მითხრა:

— ფენომენი ყოფილხართ, ამხანაგო! მადამ სოლვეისაც კი შეშურდებოდა თქვენი ეგზომ უნივერსალური ცოდნა-განათლება; საოცარია, ასე ჩინებულად როგორ ერკვევით ვაჭრობის, მრეწველობის, ასტრონომიის, ეკონომიკის, მეფუტკრეობის, ჰიდრომექანიკისა და მელიორაციის სფეროში?!

— ეს რა არის, ბატონო, ზეპირად ვიცი ტყავის, ზუბროვკისა და პურის ტექნოლოგია, იხტიოლოგია, აგრონომია, სოციოლოგია, ანტროპოლოგია, პალეონტოლოგია, დენდროლოგია და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ოლოლოგია!— მივუგე თავმომწონედ.

— რა პროფესიის ბრძანდებით? — შემეკითხა ცელქთმიანი.

— ფარმაკოლოგი გახლავართ, ბატონო!

ცელქთმიანი ჩაფიქრდა, თავით ფეხებამდე შემათვალიერა, გაოცებისგან ხელები გაშალა და ეჭვნარევი ხმით მკითხა:

— ვაჟკაცურად მითხარი, ასე ახალგაზრდამ სად მიიღე ესოდენ დიდი ენციკლოპედიური ცოდნა-განათლება?!

— თათბირებზე, ბატონო!— გულწრფელად მივუგე.

— თათბირებზე?!— კიდევ უფრო გაოცდა ცელქთმიანი.

— დიახ, თათბირებზე!—დინჯად ვუპასუხე გუდას პირი მოვხსენი და დავიწყე: — რაც მრავალდარგოვანი გაერთიანების სისტემაში სამმართველოს უფროსის მოადგილედ დამნიშნეს, იმ დღიდან სამუშაო საათებს თითქმის სულ თათბირებზე ვატარებ. ზოგჯერ დღეში ორ-სამ თათბირს, ლექცია-სემინარსა და არამაპროფილებულ ღონისძიებას ვესწრები. მმართველი ადგილობრივი თათბირებითაა დაკავებული. გახვლით თათბირებზე კი მე მგზავნის, — ფაქტების გასამაგრებლად ჯიბიდან მომდევნო დღეების მოსაწვევი ბარათების დასტა ამოვიღე, ბანქოს ქაღალდივით გავშალე და ცელქთმიანს გავუწოდე. — ეს კიდევ რაა, ბატონო, გუშინ, სამუშაო საათებში ჩვენი კლუბის კარჩაკეტილ დარბაზში ორას ოც თანამშრომელთან ერთად დოცენტ რიმა ყირმიზანაშვილის ლექციას ვისმენდი თემაზე: „რაციონალურად გამოვიყენოთ სამუშაო დრო". გუშინწინ კი დილიდან-საღამომდე ჭუნირის, სოინარის, საზის, ყამიშით და ბეჩოთი გაწყობილ ზურნა-დუდუკის, თახნაფების, მუღამათებისა და მასრაფების მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას ვისმენდი მედუდუკეთა დასის სხდომაზე.

— მედუდუკეთა დასის სხდომაზე რაღა გინდოდა?!— შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ცელქთმიანმა.

— ჩემი დავალებით იყო გაგზავნილი, ვახუშტი ფარნაოზოვიჩ! — ამაყად წარმოთქვა სამმართველოს უფროსმა და იქვე განმარტა:— გადაწყვეტილი გვაქვს, ჩვენ კლუბში ადგილობრივი ძალებით მედუდუკეთა ტრიო ჩამოვაყალიბოთ.

—სადუდუკედ და სადიპლიპიტოდ თუ გაქვთ საქმე, ამფერუმ თქვენს ვაჟკაცობას! — დუდუკივით დამტკბარი ხმით წარმოთქვა ცელქთმიანმა და სიგარეტი გააბოლა.

თათბირი დამთავრდა. ის იყო კაბინეტში შევედი, მიმდინარე კვარტლის გეგმას ნაღვლიანად შევავლე თვალი, უცებ გამახსენდა ყრუ-მუნჯთა გაფართოებულ სხდომაზე პერსონალურად, რომ ვიყავი მიწვეული.

— თათბირები უპირველეს ყოვლისა! — თავდავიწყებით შევყვირე, ტაქსი დავიქირავე და თავქუდმოგლეჯილი თათბირისაკენ გავეშურე.

იმ დღეს მეოთხე თათბირს ვესწრებოდი.

# ახალი ამბები მოძმე რესპუბლიკებიდან

## ავტობუსი „ოლიმპიადა“

1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის მომსახურების გასაწევად ლვოველმა ინჟინრებმა და მხატვრებმა დაამზადეს ახალი კომფორტაბელური ავტობუსის მოდელი.

ავტობუს „ოლიმპიადაში“ მოხერხებულად არის განლაგებული სავარძლები, იქვეა გარდერობი, პატარა ბარი, ჰაერი კონდიცირებულია.

მგზავრებს შეუძლიათ ავტობუსში თვალყური ადევნონ ტელეგადაცემებს.

## სკულპტურული ანსამბლი

მოძმე ლიტვის ქალაქ ტაურაგში საიუბილეო წელს საზეიმოდ გაიხსნა სკულპტურული ანსამბლი, რომელიც მდინარე იურას სანაპიროს ერთი კილომეტრის მანძილზე გასდევს.

ერთმანეთის მიყოლებით ჩარიგებული მოხდენილი სკულპტურები ეძღვნება თემებს: „შრომა“, „გამარჯვება“, „მშვიდობა“...

## ახალი სახეობის ვარდები

ვარდების მსოფლიო კოლექციის კატალოგი ყაზახეთში მცხოვრებმა სელექციონერებმა მ. ბესჩეტნოვმა და კ. სუშკოვმა ამას წინათ რამდენიმე ახალი სახეობის ვარდით შეავსეს.

სელექციონერებს უკვე აქვთ თერთმეტი საავტორო მოწმობა ორიგინალური სახეობის ვარდების გამოყვანაზე. მათ შორის არის მეტად ლამაზი და სურნელოვანი ვარდები: „კოლმეურნე“, „საამო“, „ალმაათა“, „იაროსლავი“...

სელექციონერები ახალი სახეობის ვარდებს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს უძღვნიან.

## კარგი საჩუქარი

აზერბაიჯანელმა სპეციალისტებმა დაიწყეს რესპუბლიკის „მუსიკალური ფოლკლორის ატლასის“ შედგენა.

ატლასი მუსიკის მოყვარულებს გააცნობს დროთა განმავლობაში მივიწყებულ უძველეს ხალხურ სიმღერებს, მათი შესრულების სხვადასხვა მანერას, ხალხურ საკრავებს.

„მუსიკალური ფოლკლორის ატლასი“ ერთ-ერთი კარგი საოქტომბრო საჩუქარი იქნება მშრომელებისათვის.

## ხელოვნური კრაველი

ერევანში წარმატებით აითვისეს ხელოვნური კრაველის წარმოება.

საგანგებოდ შექმნილ ნახევრადავტომატურ ხაზზე რთული ტექნოლოგიური პროცესით მზადდება ხელოვნური ნედლეული, რომელზეც მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებაა.

საიუბილეო წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელოვნური კრაველის წარმოება.

## პერსპექტიული დარგი

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მევენახეობა მალე სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პერსპექტიულ დარგად გადაიქცევა.

მთიანი რაიონების ურწყავ ზონებში შეიქმნა სპეციალიზირებული საბჭოთა მეურნეობები. ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ სხვა კულტურებისათვის გამოუსადეგარ ნიადაგზე შეიძლება ყოველწლიურად ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერი ყურძენი მოვიწიოთ.

## მეტროპოლიტენის მაგისტრალი

საიუბილეო წელს ხარკოვში საფუძველი ჩაეყარა მეტროპოლიტენის კიდევ ერთ. ათკილომეტრიან მაგისტრალს.

ძირითად ტრასასთან შეერთების შემდეგ ეს მაგისტრალი ქალაქის ცენტრალურ რაიონებს მოხერხებულად დააკავშირებს სამრეწველო ზონასთან, მოშორებით მდებარე ავტოსადგურთან და რკინიგზის ვაგზალთან.

## საინტერესო აღმოჩენა

მოძმე უზბეკეთში ამას წინათ აღმოაჩინეს XI-XII საუკუნის ფილოსოფოსის, ისტორიკოსისა და ფილოლოგის ან-ნესეფის დღემდე უცნობი ხელნაწერი.

ეს ხელნაწერი შეიცავს კონსპექტს ლექციისას, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ან-ნესეფმა სამარყანდში წაიკითხა.

ხელნაწერი ცოდნის სხვადასხვა დარგში საინტერესო მოსაზრებებს შეიცავს და სპეციალისტთა დიდ ინტერესს იმსახურებს.

## დაგვეხმარება

თურქმენმა ორნიტოლოგებმა ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ დაადგინეს ჩიტების მასიური გადაფრენის ტრასა, რომელიც ზოგიერთ მონაკვეთში ემთხვევა ანდა ჰკვეთს თვითმფრინავების ფრენის დადგენილ ტრასას.

სწავლულთა მონაცემები ჩიტების ფრენის მარშრუტის, სიმაღლისა და დროის შესახებ დახმარებას გაგვიწევს ხელშეუშლელ ფრენაში, ჩიტებს კი საშუალება მიეცემათ თავისუფლად გადასერონ მათ მიერ ოდითგანვე დადგენილი ტრასა.

# ლექსები

### გიორგი აბულაძე

## ქ უ დ ი

თავს არ შეგაწყენთ ქუდების ქებით,
ვიტრინაშია ფაფახი, კეპი...
მათგან ერთ-ერთი თუ გინდა
გულით,
მიდი, გამყიდველს მიეცი ფული,
არ არის ძნელი, ჯიბე გაქვს სავსე,
ქუდს დაიხურავ იოლად თავზე.
მაგრამ არსებობს ისეთი ქუდიც,
არ იყიდება რომელიც ფულით,
დაცხრილულია ის თოფის ლულით,
დაცხრილულია ზარბაზნის ლულით,
დაცხრილულია ტყვიით თუ ისრით,
დაფხრეწილია ხმლითა თუ
ხანჯლით,
მაინც გვახურავს და გვათბობს
თავზე,
არვინ იფიქროს უქუდოდ
დავრჩით.
მას ვერ შეიძენ, ძმობილო,
ფულით,
მაღაზიაში შეხვდები ვერსად.
ბალსა და ვენახს ახურავს თავზე,
თავზე ახურავს მთასაც და
ველსაც,
უმისოდ ტყესაც ვერ ნახავ წუთით,
არ იქნებოდა, ღმერთმანი, ცუდი,
რომ ყველა ქართველს ეხუროს ასე
ცა სამშობლოსი — ნამუსის ქუდი.

## მ ზ ე

თავი ამოჰყო მამალმა,
მზემ ცაზე ამომავალმა,
ბიბილო ველარ დამალა,
დეზები ველარ დამალა,
შეაფათქუნა ფრთები და
ამოფრთხიალდა მთებიდან.
გამოალვიძა ხეებზე
ფოთლები მისმა ძახილმა.
ბორცვებს, ტყეებს და
მინდორ-ველს
სხივები გადააყივლა
დარდიან კაცის სიცილად,
დაჭრილი გულის მალამოდ.
მამალო, ჩემო მამალო,
ჩემო კეთილო მამალო,
შენ გამილიმე მწყემსები,
შენ გამიხარე მთესველი,
იარე დედამიწაზე
მაგ ოქროსფერი დეზებით,
დარდიან კაცის სიცილად,
დაჭრილი გულის მალამოდ.
მთებიდან ამომავალო,
ჩემო კეთილო მამალო.

## ტოტები

ხის ტანი ვარ და როგორც
შვილები,
ხელში მიჭირავს მწვანე ტოტები.
ტოტებით ვსუნთქავ მზესა და
ჰაერს,
ვშრიალებ, ვმღერი მწვანე
ტოტებით.
დამიბერავს და მომღუნავს ქარი,
მომღუნავს ქარი, ისევ ვსწორდები.
ვარ ბედნიერი,არ ვგავარ გამხმარ
იმ ხეს, რომელსაც არ აქვს ტოტები.

## უცნაური დამთხვევები

ლინკოლნი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო 1860 წელს.

კენედი აშშ-ის პრეზიდენტი გახდა 1960 წელს.

სხვაობა — 100 წელი.

ორივე მოკლეს პარასკევ დღეს — მეუღლეთა თანდასწრებით.

ლინკოლნის მკვლელობის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ჯონსონმა.

კენედის მკვლელობის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ჯონსონმა.

ჯონსონი, რომელმაც შეცვალა ლინკოლნი, დაიბადა 1808 წელს.

ჯონსონი, რომელმაც შეცვალა კენედი, დაიბადა 1908 წელს.

სხვაობა — 100 წელი.

ორივე სამხრეთელია და ვიდრე აშშ-ის პრეზიდენტები გახდებოდნენ, იყვნენ სენატორები.

ლინკოლნის მკვლელი — უელსი დაიბადა 1829 წელს.

კენედის მკვლელი ოსვალდი დაიბადა 1929 წელს.

სხვაობა — 100 წელი.

ლინკოლნის მდივანი — გვარად კენედი დაჟინებით ურჩევდა პრეზიდენტს, მკვლელობის საღამოს თეატრში არ წასულიყო.

კენედის მდივანი — გვარად ლინკოლნი აგრეთვე დაჟინებით მოითხოვდა ქ. დალასში გამგზავრების გადადებას.

## ამოუცნობი საიდუმლო

რომში, არქეოლოგიური გათხრების დროს, შემთხვევით წააწყდნენ ულამაზესი ქალიშვილის გვამს, რომელიც სარკოფაგში იყო ჩასვენებული.

ქალიშვილი ახალი გარდაცვლილის შთაბეჭდილებას სტოვებდა. აღშფოთებული რომის მერი და პროკურორი დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ მკვლელის დაპატიმრებას.

სპეციალისტებისაგან შემდგარმა საგანგებო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ქალიშვილი გარდაიცვალა... 18 საუკუნის წინათ.

იტალიელი მეცნიერების გამოკვლევით მალე ნათელი გახდა: 18 საუკუნის განმავლობაში ქალიშვილის გვამი ნირშეუცვლელად შემოინახა რაღაც უძლიერესმა მაკონსერვებელმა პრეპარატმა, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო ევკალიპტის ეთერზეთი.

ევკალიპტის სამშობლო მხოლოდ შორეული ავსტრალია და მის მახლობლად განლაგებული კუნძულებია. 18 საუკუნის წინათ ევკალიპტს არც ევროპაში იცნობდნენ, არც აზიაში, არც აფრიკაში. მაშ როგორ მოხვდა რომაელ ქიმიკოსებთან უცნობი მცენარის ეთერზეთი?

ეს საიდუმლო დღემდე უცნობია. გამორიცხული არ არის, რომ რომაელებს შორეულ წარსულში სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ავსტრალიელებთან.

ამ უკანასკნელ წლებში ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებში თეატრალურმა დადგმებმა იმატა. ისინი, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, იხილავენ სამხატვრო თეატრის, ვახტანგოვის, საბჭოების, სატირის, მცირე თეატრების დადგმებს, ფილმებად ქცეულს. ეკრანს რჩება საუკეთესო სპექტაკლები, რადგან თეატრალური ხელოვნების ყველაზე ჩინებული ქმნილებაც კი შესაძლოა ერთ საღამოს ფარდის დახურვის შემდეგ გაქრეს და აღარ განმეორდეს ამა თუ იმ მსახიობის თამაში.

ვერ იქნა და ვერ დამკვიდრდა ჩვენში ეს დიდებული ტრადიცია. სადღა ვნახავთ ვერიკოს კლეოპატრასა და ეუხენას, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ სპექტაკლებზე, როგორიცაა: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „ყაჩაღები“, „დონ სეზარ დე ბაზან“, „ბარათაშვილი“ და მრავალი სხვა.

ა. ვასაძის, ე. აფხაიძის, გ. შავგულიძის, ვ. გოძიაშვილის, ს. თაყაიშვილის მიერ შექმნილ ბევრ ვირტუოზულ სახეებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, პერიფერიების მსახიობებიც იყვნენ ღირსნი თითო როლითაც რომ გაეცნოთ თავი მომავლისათვის.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# იპოლიტე ხვიჩია

უკანასკნელ წლებში საქართველოს სახალხო არტისტის იპოლიტე ხვიჩიას ვირტუოზულ კომიზმს ასპარეზი კინოში დაეთმო და თეატრალურ მაყურებელს სრულიად მოესპო საშუალება დამტკბარიყო მისეული აქტიორული ხელოვნებით უშუალო, ცოცხალ კონტაქტში, რომლის საშუალებასაც ესოდენ უხვად იძლევა სცენა.

როცა ჩაიფერფლნენ ქართული კომედიური სკოლის ვარსკვლავები ა. ჟორჟოლიანი, ა. კვანტალიანი, ე. აფხაიძე... დღეს ეკრანის საშუალებით თავს იპოლიტე ხვიჩიათიღა ვიწონებთ, მაგრამ ისიც გულდასაწყვეტია, რომ სცენაზე ვერ ვხედავთ მას.

განსაცვიფრებელი პოპულარობა ხვდა წილად სიცილის ამ დიდოსტატს, შინ და გარეთ, მთელს რესპუბლიკასა და მთელს კავშირში, ვინც ერთხელ მაინც იხილა კუჭკუჭი („ბურთი და მოედანი“) და რომელიც გნებავთ ეკრანის გმირი, რომელთა უმეტესობას იპოლიტე ჰქვია, ტაშს, აღფრთოვანებასა და სიყვარულს არ აკლებს ამ თვითმყოფ ეროვნულ ხელოვანს. ბევრჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოჩენილა ჩვენი გულჩვილი და ბუნებით მორიდებული კაცი, ქუჩაში ფეხით ვერ გაუვლია, სიტყვა ვერ უთქვამს, რაგინდ სერიოზულიც არ უნდა იყოს, რომ გამვლელ-გამომვლელი, ტროლეიბუსისა და ავტობუსის მგზავრები არ ხარხარებდნენ, ბაქოსა და რიგაში ტაქსის მძღოლები მრიცხველებს გამორთავდნენ ხოლმე. იპოლიტე ხვიჩიას იმდენი კურიოზული შემთხვევა ახსოვს, ერთ ფილმად იკმარებდა, მაგრამ დიდია მისი ღვაწლი თეატრში. დასანანია, რომ მხოლოდ მოგონება უნდა მოვიშველიოთ.

...ქუთაისის თეატრის სალაროში დილიდან გაისმოდა რეკვა—მონაწილეობდა თუ არა ხვიჩია იმ საღამოს სპექტაკლში. ეს დეტალიც კი მსახიობის აღიარების დასტურია. აღიარება დიდი შრომით მოიპოვა შემოქმედმა. მარტოოდენ გართობისათვის სცენაზე გამოსვლა არასოდეს ყოფილა მისი მიზანი. აზრი, ფსიქოლოგიური სიმართლე და ლოგიკა მუდამ ახლდა ჰუმანური კომედიის ოსტატის სადარად. მხატვრული სისრულის მისაღწევად ხვიჩიას მუდამ ახასიათებს ინტელექტუალური კომიზმი და ვირტუოზულად დამუშავებული სცენური ტექნიკა, სიტუაციებში გარკვევის ალღო და განწყობილების შექმნის ფერწერული უნარი. ისიც ყოფილა, დრამატურგის ტექსტი გონებამახვილური ფრაზით რომ შეუვსია, რის სანაცვლოდ გულწრფელ ტაშსა და სიყვარულს აგებებდნენ ქუთათურები და ასევე დაუბედეს დედაქალაქში ჩამოსულს რუსთაველთა „ქუთათურებში“.

...იპოლიტე — ნაცარქექია, უბადლო გმირი ხალხური ზღაპრისა, კუსპარა, ვერცხლისწყალივით უსხლტებოდა დევებს ეს ჩია კაცი უვნებელი ტყუილებითა და ათასგვარი ხრიკებით, ჭკუამახვილობით ისე გვაჭერებდა, მისეული მოკუმული მუჭითა და შეკივლებით, გვეგონა, საცაა წიხლს კრავს აქეთა გორას და ყლაპს უზამს ადიდებულ მდინარესო. იმდენად მართალი და უშუალო იყო, რომ იკარგებოდა ზღვარი სცენურს, ზღაპარს, წარმოდგენასა და ცხოვრებისეულში, ფარდის დახურვის შემდეგაც შინ მიგყვებოდა. მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა და პირვანდელი პეწით ცოცხლობს მეხსიერებაში.

...ქუჩარა — ყვარყვარეს ქუჩარა. იპოლიტე ქმნიდა სცენურ სახეს და ხსნიდა მისეულ დამოკიდებულებას გმირისადმი. იარაღის გასროლის შიშით დამფრთხალი, სცენაზე მარტოდ დარჩენილი ქუჩარა უიმედოდ რომ აწყდებოდა კუთხე-კუნჭულს, უკულმა გადაკიდებული თოფით, წელზე ტელეფონის ყურმილით საშველად უხმობდა მის განუყრელ კაკუტას. იპოლიტე-ქუჩარა კიდევ ერთ სცენურ იშვიათობად მისაჩნევი ტიპაჟი იყო და ჭეშმარიტად ითხოვს აღდგენას.

ერთი უმნიშვნელო დეტალი, ერთი საიდუმლო შტრიხი და დაუვიწყარი ხდებოდა ი. ხვიჩიას სცენური გმირი — ლენტორი „კეთილ მეზობლებში“, ნესტორი — „რას იტყვის ხალხი“, ონკანთან ცალფეხგაშეშებული. გაბრიელის („გაყრა“) ცეკვა? ცეკვა იპოლიტესი — მხოლოდ მისეული; ცეკვის ვირტუოზიც რომ ვერ გაიმეორებს, მისი დაქაჩული თვალები და „ოსას“ შეკივლება, ჩაგრეხილი ხელები და ბუქნი, თავმომწონედ რომ მიმოიხედავს, მოდი და გამეჯიბრე თუ ბიჭი ხარო, მისი საქმოსანი გოჩოლავა („კაკალ გულში“); პრემიერის შემდეგ როგორ ჩაიკრა გულში ბატონმა შალვა დადიანმა, ფარდის დახურვის შემდეგ მისი მორიდებული „მადლობა“, ეს ტაში ნუთუ მე მეკუთვნისო. აქ, ამ წუთებში იგრძნობოდა სწორედ იპოლიტე — უპრეტენზიო მოქალაქე და შემოქმედი.

ტრუფალდინო? ორი ბატონის სამსახურით მოქანცული ონავარი, სიცოცხლის შემტანი ყველგან და ყველასთან, ჯადოქრული აქტიორული შტრიხებით სავსე კოხტაია („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“), განუმეორებელი ქილორდავა („გუშინდელნი“).

როგორი დიდი აზრობრივი დატვირთვა მისცა ხვიჩიამ დახუნდარას — გმირის სოციალური მდგომარეობის წარმოჩენა, უშუალობა, ზომიერი გროტესკი. დახუნდარას იპოლიტესეული ლოგიკა, კაცობის საზომი — მედროვეობა. გმირის გონების თარგზე იყო გამოჭრილი; დახუ-მესაფლავე, დახუ-არარაობა, კლასობრივი ანტაგონიზმის უფსკრულთან მდგარი, შინაგანი სიმართლის შერწყმა სახის გარეგნულ კონტურთან და იმედი მარცხიანი ცხოვრების მიწურულშიც კი — საფლავებზე შეხტომა-შემღერება — მიწის ზევით მაინც ვარო. არსად არაფერი ზედმეტი, გადაჭარბებული.

ფრანგმა კინომეტოგრაფისტებმა იპოლიტე ხვიჩია „ქართველ ბურვილად“ აღიარეს; მსახიობი, რომლის პარტნიორობაზე მისადმი მოწერილ წერილებში ოცნებობენ და თავს ბედნიერად თვლიან ნიკულინი და მორგუნოვი, ვიცინი და ლეონოვი... თვითონ კი, სხვათა შემქები, მოსიყვარულე, კაცთმოყვარე, კეთილი და მშრომელი იპოლიტე ხვიჩია — მსახიობი, რომელიც ერთდროულად „მოსფილმისა“ თუ ჩეხოსლოვაკიის კინოსტუდიის ოთხ-ხუთ ფილმშია დაკავებული...

მაინც თეატრზე ოცნებობს.

ნეტავი ასრულდებოდეს!

**კირა კვეიძე**



პ. კაკაბაძე. „ყვარყვარე თუთაბერი“. ქუჩარა — იპოლიტე ხვიჩია, კაკუტა — ვ. გვენცაძე

# თითქმის დაუჯერებელი

●

33 წლის ამერიკელმა ჟოზეფ კომოლიმ ამას წინათ იშვილა ქალიშვილი ელეინ ტატარსოლი, რომელიც მამობილზე უმცროსია... მხოლოდ ერთი წლით.

ფაქტიურად, ჟოზეფი და ელეინი ცოლ-ქმარი არიან.

ასეთი უცნაური დაწყვილების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ გაყრის შემთხვევაში, ჟოზეფ კომოლის აღარ დასჭირდება ალიმენტი გადაუხადოს სრულწლოვან „შვილს“.

●

იაპონიაში დაამზადეს ახალი მარკის ტელევიზორი, რომელსაც აქვს... ორი ეკრანი.

სატელევიზიო გადმოცემის დროს, თუ თქვენ რომელიმე კადრი მოგეწონებათ, შეგიძლიათ იგი ერთ-ერთ ეკრანზე შეაჩეროთ და „გაყინოთ“.

დამხმარე მოწყობილობის საშუალებით საინტერესო კადრი შეიძლება არა მარტო შევაჩეროთ, არამედ რამდენჯერმე გავიმეოროთ კიდეც.

●

დასავლეთგერმანელი ბიჭუნა ტორსტენ გატბლერი უკვე ხუთი წელია რაც... გაუთავებლად იცრემლება.

ექიმებმა მხოლოდ ამას წინათ შეძლეს დაედგინათ მისი გაუთავებელი ტირილის დიაგნოზი: დაზიანებული აღმოჩნდა ერთ-ერთი ნერვი, რომელიც საცრემლე ჯირკვლებს ებჯინება.

მედიცინის მუშაკებს იმედი აქვთ, რომ მალე განკურნავენ პატარა ტორსტენს.

●

ბრიტანელმა სპეციალისტებმა დაამზადეს ორიგინალური ავეჯი და მაშველი ნივთები, რომლებიც ხომალდის დაღუპვის შემთხვევაში შეიძლება გამოიყენონ... საკვებად.

ხომალდში გამოსაყენებელი ავეჯი და მაშველი ნივთები დამზადებულია ბრინჯის, სიმინდის, ბანანის ჩირის, რძის ფხვნილისა და სხვა საკვები პროდუქტების ნარევისაგან.

ავეჯი და მაშველი ნივთები შეიძლება სწრაფად დავაქუცმაცოთ. ზღვის წყლის დასხურების შემდეგ, რამდენიმე წუთში მიიღება საკმაოდ ნოყიერი საკვები კონცენტრატი.

●

ინგლისში მცხოვრებ ვინმე მედლტონების ოჯახში ასეთი უცნაური დამთხვევები მოხდა: ოჯახის უფროსი ქალიშვილი დაიბადა ინგლისის დედოფლის დაბადების დღეს, შვილიშვილი — პრინც ფილიპეს დაბადების დღეს, მეორე შვილიშვილი — პრინცესა მარგარიტას დაბადების დღეს, მესამე შვილიშვილი — უელსის პრინცის დაბადების დღეს.

●

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ გაზეთში ამას წინათ გამოქვეყნდა ასეთი განცხადება:

„მაქვს აუწყობელი ცხოვრება, სიქაჩლე, საშუალოზე დაბალი ტანი; ვარ ორჯერ ნაცოლარი, თან მდევს მხოლოდ გაკოტრება. ვეძებ ლამაზ საცოლეს, რომელსაც ერთი მილიონი მარკა მაინც ექნება“.

●

შვეიცარიაში გამოუშვეს მსოფლიოში ყველაზე ზუსტი მაჯის საათი.

მთელი თვის მანძილზე ეს საათი შეიძლება ჩამორჩეს ანდა წინ წავიდეს... ერთი წამით.

●

ჩვენს პლანეტაზე აღრიცხულია ასეთი მეტეოროლოგიური რეკორდი:

ყველაზე ძლიერი ქარი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-ჰემპშირში (საათში 416 კმ).

ყველაზე ძლიერი წვიმა მოვიდა მონტანის შტატში (1 წუთში 3,12 მმ ნალექი).

ყველაზე მსხვილი სეტყვა მოვიდა ყაზახეთში (1 მარცვალი — 1.900 გრამი).

ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღირიცხა ლიბიის ქალაქ ელაზიზიაში (58 გრადუსი).

●

ჟენევაში ამას წინათ ბეტონის ფილებისაგან დაამზადეს ახალი აგური, რომელიც სხვა თვისებებთან ერთად, ხმაურის საუკეთესო მაიზოლირებელიც არის.

ახალი აგურით აშენებულ სახლში თავისუფლად შეიძლება იცხოვროთ... აეროდრომის მახლობლადაც.

●

ზოგიერთი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ მთელს მსოფლიოში ყველაზე მაღალმა მწვერვალმა ევერესტმა უკანასკნელი 100 წლის მანძილზე სიმაღლეში მოიმატა, სულ ცოტა... 8 მეტრი.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 1. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 5. თანამდებობა, რომელიც მინიჭებული აქვს რუსთაველის ერთ-ერთ გმირს; 6. ციხე-სიმაგრე და სახელმწიფო საპყრობილე პარიზში; 8. ტარიელის მამა; 12. საქართველოში მოღვაწე წამებული არაბი; 19. მცენარე; 20. ბეწვეულის ყელსახვევი; 22. ბატონი აღმოსავლეთის ქვეყნებში; 23. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორი; 24. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 27. საუფლო, სამეფო, საბატონო ძველად; 30. მოსასხამი; 32. მოლოდინი, რწმენა; 33. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი, 35. „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული სულნელ-საკმეველი; 37. ღვინის სასმისი; 38. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი და გადამწერი; 39. ადრეული რენესანსის გენიალური წარმომადგენელი.

შვეულად: 1. გუთნის ნაწილი; 2. ვალი; 3. მხლებლები; 4. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი; 7. ცხვრის მატყლიანი ტყავი; 9. „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული სახელმწიფო; 10. ყვავილი; 11. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; 13. გარეული ფრინველი; 14. ვაჟიშვილი; 15. მამალი ცხოველი; 16. ანტიკური სახელმწიფო; 17. კვიპაროსი; 18. ეპიკური ჟანრი; 21. მითიური ქალი; 25. ცხენის ჯოგი; 26. მოულოდნელობით გამოწვეული რეაქცია; 28. უძველესი საქართველოს კუთხე; 29. ბატონის მიწაზე მცხოვრები გლეხი; 30. პატიოსანი თვალი; 31 „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული ხარი; 33. შუასაუკუნეების მისტიკური მოძღვრება; 34. ჭაობის მცენარე; 36. წერილობითი თხოვნა.

კროსვორდი შეადგინა თ. კაციტაძემ

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი ზაჰესის კაშხალთან.

ალექსანდრე სააკოვისა და მალხაზ დათიკაშვილის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 6. 9. 77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 10. 77 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 51860 შეკვ. 2730. უე 00829. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ ჯანიაშვილის ფოტოგრაფიკა





● გრემი
● სოფელი მთაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76056